# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 26-27 ოქტომბერი. 2019 წ. №213 (8879) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


**ღირს დაფიქრებად!**

**წაიკითხეთ ეს ინტერვიუ და კიდევ ერთხელ დარწმუნდით, თუ საიდან უბერავს ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების" „გასანადგურებლად" ამოვარდნილი სიცრუის ქარი!**




## ④ ჩარლზ დევიდსონი: ⑤

## საქართველოში ჩრდილოვან მმართველობასა და ინსტიტუტებს შორის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა...

**აკადემიკოსი ამირან რევიშვილი**

## რა არ ჰყოფნის გულს? ⑨



**მედიცინა**



## ⑥ ეკრანზე გაცოცხლებული ქართულ-ლატვიური ისტორიის ტრაგიკულ-ლირიკული ეპიზოდები

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

## ყველა ერთხმად აღიარებს რეფორმებსა და პროგრესს, რომელსაც მივაღწიეთ

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის რანგში ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრა ბრიუსელში პირველად გამართა.**



მინისტრმა იენს სტოლტენბერგს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეხუთე ვიზიტი საქართველოში შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობისა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ალიანსის მხრიდან მტკიცე მხარდაჭერის მკაფიო დემონსტრირებაა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ორმხრივ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა საქართველოს მთავრობის მიდგომაზე ნატოსთან ყველა არსებული მექანიზმის წარმატებულ იმპლემენტაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), როგორც თანამშრომლობის მთავარი ინსტრუმენტი, საქართველოს ალიანსის წევრობისთვის ამზადებს.

**— დღეს მქონდა შეხვედრები ნატოს გენერალურ მდივანთან, ბატონ სტოლტენბერგთან. მქონდა შეხვედრები ასევე ჩემს კოლეგებთან. ყველა ერთხმად აღიარებს რეფორმებსა და პროგრესს, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ. ძალიან წარმატებით მიმდინარეობს ჯეიტეკის ფუნქციონირება საქართველოში, ნატოს წევრი ქვეყნების ექსპერტები არიან ჩართული ამ პროცესში. ისინი ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ ჩვენ და ჩვენს უწყებას და, ზოგადად, საქართველოს. ყველა ჩვენი კოლეგა დიდი მადლიერებით აღნიშნავს იმას, რომ ჩვენი გმირი სამხედროები იბრძვიან ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების ჯარისკაცებთან ერთად ავღანეთში და იცავენ მშვიდობას და უსაფრთხოებას,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## დამკვირვებლების გატაცება უპრეცედენტო და ზღვარგადასულია!

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის მიერ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დამკვირვებლების დაკავების ფაქტს უპრეცედენტოს, ზღვარგადასულსა და სავალალოს უწოდებს.

**„უპრეცედენტო და ზღვარგადასულია უკვე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა საერთაშორისო ფორუმზე და მათ შორის, სტრასბურგის სასამართლოში არაერთი დავის ფარგლებში, მუდმივად აღვწერდით და ვასახელებდით ჩვენი მოქალაქეების გატაცების, მათდამი ცუდად მოპყრობის და რამდენიმე ტრაგიკულ შემთხვევაში, გარდაცვალების ფაქტებს ვასაჩივრებდით, ახლა უკვე ამას დაემატა საერთაშორისო დამკვირვებლების გატაცება, რაც არის სავალალო ფაქტი.**

**მინდა, ყველას მოვუწოდო, ვინც ამაში იყო ჩართული, მეორე მხარეს, რომ რაც შეიძლება მალე დაასრულონ ეს უკანონო დაკავება და პატიმრობა. ჩვენ ამას ვგმობთ",** — განაცხადა თეა წულუკიანმა.



ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პატრული ჩორჩანა-წნელისის ტერიტორიაზე პატრულირებისას, დე ფაქტო რეჟიმის უსაფრთხოების შეიარაღებულმა წარმომადგენლებმა დააკავეს. ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის შეუიარაღებელი დამკვირვებლები ე.წ. სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების წარმომადგენლებმა დააკავეს. **„24 ოქტომბრის შუა დღეს, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის პატრული ჩორჩანა-წნელისის ტერიტორიაზე პატრულირებისას სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების შეიარაღებულმა წარმომადგენლებმა მცირე ხნით დააკავეს. ამ მოვლენების შემდეგ მალევე ცხინვალისგან ცხელი ხაზი გააქტიურდა. მისია ამ დროისთვის ჯერ კიდევ სწავლობს ინციდენტის დეტალებს, რომელიც განვითარდა ტერიტორიაზე, რომელიც მიიჩნევა თბილისის მიერ ადმინისტრირებად ტერიტორიად, ადმინისტრაციული საზღვრის ტრადიციული ინტერპრეტაციის შესაბამისად",** — აღნიშნულია განცხადებაში.

## საერთაშორისო დამკვირვებლების დაკავება პირდაპირი შეტევაა უსაფრთხოებაზე

**ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ევროკავშირის დამკვირვებლების დაკავება არის პირდაპირი შეტევა უსაფრთხოებაზე, საერთაშორისო მექანიზმზე, რომელიც რეგიონსა და საქართველოში უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტორია,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. მისივე თქმით, **ამ ფაქტს ევროკავშირის მხრიდან მკაცრი გამოხმაურება უნდა მოჰყვეს.**



# ანაკლიის კონსორციუმი – CONTI INTERNATIONAL ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აქციონერად რჩება

**„კონტი ჯგუფი“ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აქციონერად რჩება,** – ამის შესახებ ინფორმაციას „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ავრცელებს.

კონსორციუმის ცნობით, კომპანიამ პროექტიდან გასვლის გადაწყვეტილება შეცვალა.

**„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ავრცელებს ახალ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც Conti International-მა შეცვალა გადაწყვეტილება პროექტიდან გასვლის თაობაზე და შესაბამისად, კვლავ რჩება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აქციონერად“,** – აღნიშნულია კონსორციუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ანაკლიის პორტის პროექტის ერთ-ერთი აქციონერის, ამერიკული „კონტი ჯგუფის“ ანაკლიის პორტის პროექტიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია მიმდინარე წლის აგვისტოში გახდა ცნობილი.

# ამერიკელი ანალიტიკოსი სირიიდან გამოყვანილი ჯარისკაცების ახალქალაქის ბაზაზე განთავსებას ითხოვს



მკვლევარი და ანალიტიკოსი **ლუკ კოფი** აშშ-ის ჯარის საქართველოში, ახალქალაქში გაგზავნის შესაძლებლობაზე საუბრობს.

**„წინადადება: აშშ-ის ჯარისკაცები, რომლებიც სირიას ტოვებენ, შეიძლება, საქართველოში გაიგზავნოს. ის გახდება „ჰორიზონტს გადაღმა“ ძალა, რომელსაც შეეძლება „ისლამურ სახელმწიფოს“ სწრაფად უპასუხოს, ძალის ხელახლა მოკრების შემთხვევაში. აშშ-ს შეუძლია, გამოიყენოს ძველი რუსული ბაზა ახალქალაქში, რომელიც მხოლოდ 740 კმ-ით არის დაშორებული რაყას. ახლა საქართველო უფრო საიმედოა, ვიდრე ერაყი“,** – წერს კოფი Twitter-ზე.

აშშ სირიიდან გაყვანილ ჯარისკაცებს სავარაუდოდ დასავლეთ ერაყში გაგზავნის, იტყობინება Reuters-ი ქვეყნის თავდაცვის მდივნის განცხადებაზე დაყრდნობით. მარკ ესპერის თქმით, ჯარისკაცები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა თავდაცვის მდივანმა ისიც განაცხადა, რომ ვაშინგტონის გეგმა შესაძლოა, შეიცვალოს.

# ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. შეიარაღებული ძალები საბრძოლო რეჟიმზე გადაიყვანა

**ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ შეიარაღებული ძალების სამხედრო მართვის ორგანოები სასწავლო მიზნით, საბრძოლო რეჟიმზე გადაიყვანეს,** – ინფორმაციას ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. თავდაცვის მინისტრის ბრძანებაზე დაყრდნობით, სააგენტო „რესი“ იტყობინება.

**„რეჟიმზე გადაყვანა განხორციელდა სხვადასხვა პირობებში და ტაქტიკურ სიტუაციებში ფუნქციური მოვალეობების შესრულებისას სამხედრო მმართველობის ორგანოების მზაობის შესამოწმებლად, საბრძოლო სიტუაციასთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობების შესაქმნელად, დანაყოფების და სამსახურების ოფიცრები გადაყვანილი იქნენ სამხედრო პოლიგონზე“,** – აღნიშულია საოკუპაციო რეჟიმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დიმიტრი გვრიტიშვილი საბჭოში ანა დოლიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას ითხოვს

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს მიმართავს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრს ანა დოლიძეს საბჭოში უფლებამოსილება შეუწყვიტოს.**

როგორც გვრიტიშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტისადმი ამ მიმართვის საფუძველი ანა დოლიძის პოლიტიკური საქმიანობაა, რაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელია. გვრიტიშვილის განცხადებით, დოლიძემ არაერთხელ გააკეთა მიულებელი პოლიტიკური განცხადებები და მოწოდებები, მათ შორის მოითხოვა პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას გადადგომაც.

**„ამ მომართვის მიზანია უფლებამოსილება შეუწყდეს ანა დოლიძეს, რადგან იგი უკვე არსებითად ახორციელებს პოლიტიკურ საქმიანობას, რაც აბსოლუტურად შეუთავსებელია იუსტიციის საბჭოს წევრობის სტატუსთან. ასევე იგი სისტემატიურად არღვევს საჯარო მოსამსახურის ეთიკას. მისი ქმედებები არამხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციისკენაა მიმართული, არამედ ზიანს აყენებს მის თანამდებობაზე დამნიშვნელ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტს, საქართველოს პრეზიდენტსაც“,** – აღნიშნულია პრეზიდენტისადმი მიმართვაში, რომელიც გვრიტიშვილმა გუშინ საბჭოს წევრებს გააცნო.

# ემზარ კვიციანი: ულვაშიანო კაცო, გაჩუმდი, შენ სამხედრო არ ხარ, შენი სამშობლო არასოდეს დაგიცავს!

**ულვაშიანო კაცო, გაჩუმდი და წყნარად მოისმინე, იქნებ რაღაც შევიდეს შენს თავში,** – მიმართა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ემზარ კვიციანმა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, სადაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ლალი ფაფიაშვილს უსმენდნენ.

კვიციანმა ფაფიაშვილს ჰკითხა, მიიჩნევს თუ არა, რომ **„2006 წელს, როდესაც შეიარაღებული ძალები დაძრა მაშინდელმა პრეზიდენტმა კოდორის მიმართულებით, დაირღვა კონსტიტუცია საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მიერ“.**

ამასთან, კვიციანმა განაცხადა: **„სტრასბურგის სასამართლომ ირაკლი ბათიაშვილი რომ გაამართლა, პარალელურად თუ ირიბად, მეც ხომ გამამართლა? ანუ, ჩვენი საუბარი გაამართლა?გაამართლა ის, რომ ჩემი და ირაკლის საუბარი გაყალბებული იყო. ეს ყველაფერი შემოგვიტრიალეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებით სააკაშვილმა და მისმა ბანდამ, რომლის წარმომადგენელიც აგერ უკან მიზის. ამას პირადად არაფერი დანაშაული მიუძღვის ამ საქმეში, მაგრამ დანაშაული ისაა, რომ ამათთან ერთადაა“.**

კვიციანის ამ განცხადებებს რომან გოცირიძის რეპლიკა მოჰყვა. **„ემზარ, კინო გახსოვს? ის შავი კაცი ვინ იყო მაინც, „შერეკილებში“ რომ არის?“**

**„შენ ამას ვერ გაიგებ, ის შავი კაცი ვინ იყო, რადგან შენ სამხედრო არ ხარ, არ დაგიცავს არასოდეს შენი სამშობლო. ამიტომ, ულვაშიანო კაცო, გაჩუმდი და წყნარად მოისმინე, იქნებ რაღაცა შევიდეს შენს თავში“,** – მიმართა გოცირიძეს კვიციანმა.

# ფეხბურთი რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ

**ძმები არველაძეების საქველმოქმედო ფონდმა საინტერესო ამბავი გაავრცელა – ორგანიზაციის ინიციატივით ახალი პროექტი ამოქმედდა – „ფეხბურთი ოკუპაციის წინააალმდეგ“.**

**„ფონდ არველაძისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს პარტნიორობით, დაიწყო ახალი პროექტი – „ფეხბურთი რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ“. პროექტი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ რეგიონსა და ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში ხორციელდება“,** – წერია ძმები არველაძების საქველმოქმედო ფონდის ოფიციალურ გვერდზე.



წეროვნის დევნილთა დასახლებაში, ფონდისა და თურქეთის საელჩოს მიერ ოქტომბრის დასაწყისში გახსნილ ახალ სტადიონზე საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც ადგილობრივ გუნდთან ერთად, დიცის, ნიქოზის, ატენის, კარალეთისა და ახალდაბის გუნდები მონაწილეობდნენ, გამარჯვებული კი სოფელ დიცის გუნდი გახდა.

**„ბოლო ორი წელია აშშ-ის საელჩო საქართველოში აქტიურად უჭერს მხარს ე.წ სპორტის დიპლომატიას. ეს გულისხმობს სპორტში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას. მადლობა ფონდ არველაძეს ამ საინტერესო ინიციატივისთვის. მსგავსი ტიპის პროექტი შარშან, ერთობლივი ძალებით პანკისის ხეობაში, ადგილობრივი მოზარდებისთვის განვახორციელეთ“,** – ამბობს აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი სოფო ბზიშვილი.

რეზი არველაძე, ფონდის დამფუძნებელი: **„პროექტი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ რეგიონსა და საზღვრისპირა სოფლებში უფასო საფეხბურთო სკოლების შექმნას ითვალისწინებს. წეროვანში მცხოვრები დევნილი ბავშვების გარდა მთელი წლის მანძილზე, კვირაში სამჯერ, დიცში, ახალდაბაში, ნიქოზში, ატენსა და კარალეთში მცხოვრები მოზარდები ჩვენი ფონდის მიერ შერჩეული მწვრთნელის ხელმძღვანელობით ივარჯიშებენ. ფეხბურთელებს გადავეცით ბურთები, ფორმები და საფეხბურთო ინვენტარი. წლის განმავლობაში ჩავატარებთ არაერთ ტურნირს და ვეცდებით, ამ ბავშვების ცხოვრება უფრო ხალისიანი და ჯანსაღი გახდეს“.**

# ყაზბეგის ეროვნულ პარკში მყინვარწვერის მისასვლელი ბილიკი დასუფთავდა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, ყაზბეგის ეროვნულ პარკში მყინვარწვერისკენ მიმავალ ბილიკზე დასუფთავების აქცია გაიმართა. დასუფთავების აქციაში ასევე ჩართულები იყვნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული მიმართულების სამსახური, მცხეთა-მთიანეთის გუბერნია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია და სასაზღვრო პოლიცია.**

მყინვარზე, რომელიც ზღვის დონიდან 3 653 მეტრზე მდებარეობს, მსოფლიოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ნაგვის ურნები განთავსებული არ არის, ვინაიდან ტერიტორიიდან ნაგვის სისტემატური გატანა, ბუნებრივი პირობების გამო, შეუძლებელია.

**ყაზბეგის ეროვნული პარკის საერთო ფართობი 78 543,4 ჰა-ს შეადგენს. ეროვნული პარკის 35% ტყითაა დაფარული; დანარჩენი ტერიტორია კი, ალპურ იალაღებს, მორენებს, თოვლით დაფარულ მწვერვალებსა და კლდეებს უჭირავს. ეროვნული პარკი იშვიათი და უნიკალური სახეობის ცხოველისა და ფრინველის თავშესაფარს წარმოადგენს. ყაზბეგის ეროვნული პარკი მაღალმთიანია და მისი ყველაზე დაბალი წერტილი ზღვის დონიდან 1,400 მ-ზე მდებარეობს.**





# უპირატესობას პოპულიზმს ანიჭებენ

**საქართველოს მთავრობაში აღიარებენ, რომ ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. თუმცა, ნათია თურნავა ამბობს, რომ ლარის რესურსის გაძვირებით გამოწვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას სხვადასხვა ფაქტორებით დააბალანსებენ. ეკონომიკური ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ქონების, უმოქმედო აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში უფრო სწრაფ ჩართვას გეგმავს.**

ნათია თურნავას ახალ გეგმას დადებითად აფასებს **ფინანსისტი გიგა ბედინეიშვილი**. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა თუ სახელმწიფო აქტივებს რელიზაციისთვის გამოიტანს, ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკისთვის კარგი იქნება.

**„ყველა თანაბარ პირობებში რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ეკონომიკას ანელებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკის ზრდის დაჩქარების სხვა რესურსები არ არსებობს. მინისტრი მართალია, როდესაც ამბობს, რომ არაეფექტური სახელმწიფო აქტივების ეკონომიკაში ჩართვა ეკონომიკურ ზრდას დააჩქარებს. მინისტრი ერიდება სიტყვა „პრივატიზაციის“ გამოყენებას, რადგან შეიძლება პოლიტიკურად მიაჩნია, რომ ეს საშიშია, მაგრამ, თუ საქართველოს მთავრობა დაიწყებს სახელმწიფო ქონების გასხვისებას, მე ამას მხოლოდ მივესალმები. ჩემი აზრით, იმის აღქმა და აღიარება მოხდება, რომ მთავრობის საქმიანობაში ზედმეტი ხარჯებია“,** — განმარტავს გიგა ბედინეიშვილი.

„კომერსანტის“ კითხვას, აქამდე რატომ არ იყო მმართველი გუნდისთვის პრიორიტეტი სახელმწიფო ქონების, უმოქმედო აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, ფინანსისტი უპასუხებს: **„ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებას ეკონომიკური ხედვის თანამიმდევრობა აკლია, მკაფიო ხედვა არა აქვს და უპირატესობას პოპულიზმს ანიჭებს. ფაქტობრივად, ეკონომიკის მართვის სოციალისტური ფორმები იყო. უფასო ჯანდაცვა, აწარმოე საქართველოში, რაღაც უაზრო პროგრამები. თუნდაც ახლა რა ხდება? უაზრო რეგულაციებით კალაძე ხან ტაქსებს ერჩის. ხან უძრავი ქონების ბიზნესს აჩერებს. თუ ეს შეიცვალა, ძალიან კარგი იქნება. აქამდე რატომ არ ხდებობდა სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, არ ვიცი, მოდი, ვთქვათ და იმედი ვიქონიოთ, რომ შეცდომას უშვებდნენ, მიხვდნენ და ცდილობენ ახლა შეცდომის გამოსწორებას. თუ ასე არ იყო, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ კორუფციის და ლობიზმის გამოვლინება იყო რეგულაციების გამკაცრება ქალაქში. ეს სერიოზულად აფერხებს ეკონომიკას, მაგრამ კალაძეს რა უჭირს? ვინც მასთანაა ახლოს, ის მაინც ახერხერხებს დეველოპმენტს, ვინც ახლოს არ არის, ის იჩაგრება. თუ ეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ნორმალური ეკონომიკური განვითარების გზაზე დავდექით, ძალიან კარგი იქნება, თუმცა, რამდენად უშველის ეს „ქართულ ოცნებას“ არჩევნებამდე, საკითხავია, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“,** — აცხადებს „კომერსანტთან“ ფინანსისტი გიგა ბედინეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გუშინ რეფინანსირების განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით, 8.5 პროცენტამდე, გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. შედეგად 102 700 მომხმარებელს სესხი გაუძვირდა.

**ბაჩო ადამია**

# საბიუჯეტო რესურსი ძირითადად სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯება



**სამთავრობო ქალაქის აშენების საკითხი ჯერჯერობით არ განიხილება,** — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრობის დროს დაანონსებულ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც თბილისში, ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის აშენებას უკავშირდებოდა.

**„დღეის მოცემულობით სხვა პრიორიტეტები გვაქვს. გვირჩევნია, ჩვენი საბიუჯეტო რესურსები მივმართოთ პენსიებისკენ, ხელფასებისკენ, სოციალური პროგრამებისკენ, გზების მშენებლობაში და ნაკლები დავხარჯოთ სამთავრობო შენობების აშენებაში“,** — განაცხადა მინისტრმა.

ამასთან, მისი თქმით, სამთავრობო ქალაქები ბევრ ქვეყანაში შენდება, თუმცა საქართველოში ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განიხილება.



# ახალი საზოგადოებრივი ცენტრი და ქორწინების სახლი დუშეთში

**ვიცე-პრემიერი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, დუშეთის მშენებარე საზოგადოებრივ ცენტრს ესტუმრა და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.**

იუსტიციის მინისტრთან ერთად დუშეთში იმყოფებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი, სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ სანიკიძე და იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა სსიპების ხელმძღვანელები.

**დუშეთის საზოგადოებრივი ცენტრი 200-მდე სოფლის 20 ათას მოქალაქეს მოემსახურება. საზოგადოებრივ ცენტრთან ერთად, დუშეთში ქორწინების სახლიც გაიხსნება თავისი საზეიმო-სარიტუალო სივრცით.**

# „ჯორჯიან ეარვეისი“ პარლამენტისა და ეკონომიკის მინისტრის წინააღმდეგ

**ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ საქართველოს პარლამენტს, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივის.**

ირკვევა, რომ სასამართლოს ავიაკომპანიამ 2018 წლის 27 ნოემბერს მიმართა, მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით კი, სასამართლომ სარჩელი არსებით განხილვაში ნაწილობრივ მიიღო.

**„ჯორჯიან ეარვეისი“ სარჩელში უთითებს, რომ ეკონომიკის მინისტრის მიერ 2012 წლის ბრძანებით დადგენილი მომსახურების საფასური, რომელსაც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უხდიან, არაკონსტიტუციურია. ავიაკომპანიაში მიაჩნიათ, რომ ირღვევა კონსტიტუციით დაცული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. ამასთან, „ჯორჯიან ეარვეისი“ მიუთითებდა, რომ საფასურის გადახდა არ უწევთ უცხოეთში რეგისტრირებულ ავიაკომპანიებს, რაც არაჯანსაღი კონკურენციის პირობებს ქმნის. თუმცა, ამ ნაწილში სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო.**

საქმეს არსებითად განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია, რომელშიც მერაბ ტურავა, ევა გოცირიძე, გიორგი კვერენჩხილაძე და მაია კოპალეიშვილი შედიან.

## ისევ სტრასბურგი და „რუსთავი-2“



# კვლავ იწყება გლახა ჭრიაშვილისეული კევის ღეჭვა...

**სწორედ რომ სასაცილო საქმე გვჭირს: ტელეკომპანია „რუსთავი-2“ იმ მიჯნად იქცა, საიდანაც აღარაფერი ჩანს, არც ნათელი, არც სასიკეთო რამ, საერთოდ არაფერი, მით უფრო — გამოსავალი.**

**ახლავე მოგახსენებთ, რატომაც.**

როგორც კი, 2019 წლის 18 ივლისს ევროპულმა სასამართლომ განაჩინა, ტელეარხი ქიბარ ხალვაშს ეკუთვნისო, ორად — ქიბარისტებად და ნიკუტებად გახლეჩილ საზოგადოებას თავი დაედგა: საზოგადოებამაც მოისვენა, ხალვაშმაც და პრინციპში „რუსთავი-2“-ს წურბელასავით ჩაფრენილმა ნიკა გვარამიამაც: ადგა ეს ავადმყოფი კაცი, ახალი ტელეკომპანია დააარსა განუყრელ ეკა კვესიტაძიანად და იშხამება ყოველ საღამოს, ოღონდ ოდნავ ნაკლები ტოქსიკურობით. „ნერვებიც დაიწყნარა“: ხვალინდელი დღის მაჯლაჯუნა შიში — ვაი სტრასბურგი, უი სტრასბურგი“ — გადაიგდო გულიდან. თან ესეც სათქმელია: თვითონ რომ გააპანღურეს, ადგილზე დარჩენილ გუნდის ნაწილს კი კაი გვარიანი ღვარძლის მარაგი დაუტოვა მზითვად.

ქვეყანამ, ასე თუ ისე, დაისვენა, მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?

აღმოჩნდა, რომ „რუსთავი-2“-ის ყოფილმა მესაკუთრეებმა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა მოითხოვეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის წერილით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეცნობა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ყოფილმა მესაკუთრეებმა სტრასბურგის სასამართლოს პალატის მიერ 2019 წლის 18 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილების იმავე სასამართლოს დიდი პალატის მიერ გადასინჯვა ითხოვეს. ამ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

საქმე ეხება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, „რუსთავი-2“-ის საქმეზე კონვენციის დარღვევა არ დადგინდა და შეჩერების მექანიზმი მოიხსნა. შესაბამისად, ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება „რუსთავი-2“-ის წილების ძმებ ყარამანიშვილებისა და ნინო ნიჟარაძის ნაცვლად, ქიბარ ხალვაშისა და შპს „პანორამასთვის“ მიკუთვნების შესახებ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, აღნიშნულ საქმეზე 2019 წლის 18 ივლისს ევროპული სასამართლოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ:

● დაუშვებლად ცნო „რუსთავი-2“-ის ყველა სასარჩელო მოთხოვნა;

● დაუშვებლად ცნო, როგორც დაუსაბუთებელი, ყოფილი მესაკუთრეების საჩივარი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით;

● ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ყოფილი მესაკუთრეების სამართლიანი სასამართლოს უფლება მოსამართლეებთან თ. ურთმელიძესა და მ. თოდუასთან დაკავშირებით;

● ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა ყოფილი მესაკუთრეების სამართლიანი სასამართლოს უფლება მოსამართლე ნ. გვეტაძესთან დაკავშირებით;

● ერთხმად დაუშვებლად ცნო სამართლიანი სასამართლოს ნაწილში დანარჩენი პრეტენზიები;

● ერთხმად დაადგინა, რომ არ არსებობს საჩივრის განხილვის აუცილებლობა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის ჭრილში

* * *

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ევროპული სასამართლოს მიერ იუსტიციის სამინისტროსთვის გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მომჩივანი მხარის მოთხოვნას საქმის დიდი პალატის მიერ გადასინჯვის შესახებ, დადგენილი წესით განიხილავს ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია, რის შემდეგაც ცნობილი გახდება, დასაშვებად იქნება თუ არა ცნობილი მოცემული მოთხოვნა და გადასინჯავს თუ არა გადაწყვეტილებას ევროპული სასამართლოს დიდი პალატა.**

მათივე ცნობით, ამ ეტაპზე სახელმწიფოსგან რაიმე ტიპის დამატებითი არგუმენტაციის ან შესაგებლის წარდგენის საჭიროება არ არის.

**„საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებას აცნობებს ევროპული სასამართლოს ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ. სტატისტიკის მიხედვით, ხუთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია მსგავსი თხოვნების მხოლოდ დაახლოებით ხუთ პროცენტს აკმაყოფილებს“,** — აცხადებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

ჰოდა, კვლავ იწყება გლახა ჭრიაშვილისეული კევის ღეჭვა. როდემდე, როდემდე!

**სანდრო ალექსიძე**

№ 213. შაბათი-კვირა, 26-27 ოქტომბერი, 2019 წელი.

**წაიკითხეთ ეს ინტერვიუ და კიდევ ერთხელ დარწმუნდით, თუ საიდან უბერავს ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების" „გასანადგურებლად" ამოვარდნილი სიცრუის ქარი!**

# ჩარლზ დევიდსონი:

# საქართველოში ჩრდილოვან მმართველობასა და ინსტიტუტებს შორის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა...

**რა არის კლეპტოკრატია და რა კავშირია კლეპტოკრატებსა და ოლიგარქებს შორის? როდის ხდება და რას ნიშნავს სახელმწიფოს მიტაცება? ამ შეკითხვებს „ამერიკული ინტერესის" გამომცემელი ჩარლზ დევიდსონი პასუხობს. ის ამბობს, რომ საქართველოში სახელმწიფოს მიტაცება არ დამთავრებულა და ინსტიტუტებსა და ჩრდილოვან მმართველობას შორის კონფლიქტი გრძელდება. როგორ შეიძლება დამთავრდეს ეს კონფლიქტი? ამ თემებზე ჩარლზ დევიდსონს „ამერიკის ხმის" ჟურნალისტი ესაუბრება.**




**— ჩარლზ, დიდი მადლობა სტუდიაში მოსვლისთვის. ჩვენ კლეპტოკრატიაზე ვაპირებთ საუბარს. რა არის კლეპტოკრატია?**

— პირველ რიგში, დიდი მადლობა. სიამოვნებაა ჩემთვის აქ ყოფნა. ქართული ცივილიზაციის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ განწყობილი, თავისი ანტიკური ენით, რომელმაც ათასწლეულს გაუძლო. საქართველო არაჩვეულებრივი ქვეყანაა.

კლეპტოკრატია არის ქვეყანა, რომელსაც ადამიანები ფულის საშოვნელად მართავენ. ეს არის პოლიტიკური სისტემა, რომელსაც მართავენ ადამიანები, რომლებიც ამავე ქვეყანას ფულს პარავენ. პირდაპირ თარგმანში, კლეპტოკრატია ქურდების მმართველობას ნიშნავს. ის, თუ როგორ გამოიხატება ეს მმართველობა დღეს, წარსულთან შედარებით, რა თქმა უნდა, განსხვავდება. ის უკვე დიდი ხანია, არსებობს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მონარქია კლეპტოკრატია იყო, რადგან ლუი XIV-მ საკუთარი მმართველობის დროს უდიდესი ქონება მოიხვეჭა. თანამედროვე კლეპტოკრატიას უფრო მეტად საერთაშორისო ელემენტი აქვს, რადგან კლეპტოკრატები ფულს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აბანდებენ.

**— რამდენად საშიშია ის? უნდა გვაწუხებდეს თუ არა ეს ფენომენი?**

— თუ არ გვინდა კლეპტოკრატიებში ცხოვრება, მაშინ უნდა გვაწუხებდეს. მაგრამ ამასთან ერთად, ვხედავთ ავტორიტარიზმს. ავტორიტარული რეჟიმების რაოდენობის გაზრდა მსოფლიოში თავისუფალი ხალხებისთვის სანერვიულო საქმე გახდა. ყველა თანამედროვე ავტორიტარული სახელმწიფო კლეპტოკრატიის მოდელითაა მოწყობილი. ანუ, საბოლოო ჯამში, კლეპტოკრატიაზე შეშფოთება სინამდვილეში ავტორიტარიზმისა და თავისუფლების დანგრევის შიშია.

**— სად არიან აქ ოლიგარქები? თქვენ ისტორიული პარალელები გაავლეთ მონარქებთან, რომლებიც, ერთი მხრივ, ძალიან მდიდარი ადამიანები იყვნენ. ოლიგარქია კი ახალი ფენომენია. ჩემთვის ეს ორი ფრაზა ერთმანეთს უკავშირდება.**

— ეს საინტერესო შეკითხვაა. ჩემს შედარებას რომ დავუბრუნდეთ, ლუი XIV ევროპელი მმართველი იყო, ხოლო მისი სამეფო კარის წევრების შედარება დღევანდელ ოლიგარქებთან შეიძლება. მაგრამ სამეფო კარის წევრებს გარკვეული ვალდებულებები ჰქონდათ ფეოდალურ სისტემაში. ოლიგარქები კი დღევანდელ კლეპტოკრატიებში კრიმინალური ქსელივით საქმიანობენ. ასე რომ, ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ხელში ქვეყნები ჩაიგდეს. ზოგ შემთხვევაში ქვეყანა რამდენიმე ოლიგარქის ხელშია, ზოგან კი ეს ერთი ადამიანია, რომელიც ძალაუფლების ვერტიკალს ქმნის. ხშირად ურთიერთობები არაფორმალური გარიგებების საფუძველზე ხდება, ისევე როგორც ეს კრიმინალურ დაჯგუფებებს სჩვევიათ. ანუ, შეიძლება ქვეყანას მთავარ-ოლიგარქი ხელმძღვანელობდეს.

**— საქართველოში მმართველი პარტიის თავმჯდომარე ქვეყანაში ყველაზე მდიდარი ადამიანია. არსებობს მოსაზრება, რომ ქვეყანაში ოლიგარქიული მმართველობაა. პარტიის თავმჯდომარეს უშუალოდ ხალხისგან მანდატი არ აქვს, მაგრამ ის ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტშია ჩართული. ამ შეშფოთებაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, მაგრამ რაიმე კარგი არის ასეთი მმართველობის შემთხვევაში?**

— შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მზრუნველი, თანაგრძნობის მქონე ადამიანები რომ იყვნენ, რომლებიც ქვეყნისთვის საუკეთესო საქმეებს აკეთებენ, შეიძლება ამ მოსაზრების დაცვა. მაგრამ ამას ბევრი ადამიანი არ დაიჯერებს. საქართველოში ბოლო პერიოდში პოლიტიკური ძალადობა და თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა ვნახეთ. ეს ცუდია. თუმცა, საქართველო განსაკუთრებული შემთხვევაა. უკრაინაში ოლიგარქების ჯგუფია და იქ ქაოტური ოლიგარქიაა. რუსეთში ძალაუფლების ვერტიკალია, რომლის სათავეშიც პუტინი დგას და ის სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. ერთი ოლიგარქის ყოლა უნიკალური მდგომარეობაა და მას, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, ცუდი ეფექტი აქვს. ამაზე, ვფიქრობ, კონსესუსი არსებობს. საქართველოში მონო-გარქიაა, სადაც ბევრი არაფერი ვიცით ამ ადამიანის ფინანსურ საქმიანობაზე. მასზე მოკვლევა ჩატარდა, მაგრამ ბევრი არაფერია გამორკვეული.

**— იმაზე რომ დავფიქრდეთ, თუ ვინ არიან ოლიგარქები, საქართველოს შემთხვევაში ვინ არის მონოგარქი, როგორი ადამიანები არიან ისინი? შინაგანად ცუდები არიან?**

— ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. აქამდე ეს ჩემთვის არავის უკითხავს. ყოფილ საბჭოეთში ზოგიერთ ქვეყანას რომ შევხედოთ და დასავლეთში ოლიგარქიული პრაქტიკა რომ გავითვალისწინოთ, ის მხოლოდ გარკვეული ტიპის ადამიანებს იზიდავს. საბოლოო ჯამში, პასუხი ვფიქრობ, არის — კი. იმის კეთების ნაცვლად, რასაც აკეთებენ, მათ შეუძლიათ, იბრძოლონ რაღაცა დიდისთვის, შეუძლიათ, საკუთარ ქვეყანაში თავისუფლება და დემოკრატია გააძლიერონ. ისინი გულუხვობას არ იჩენენ, სასიამოვნოს არაფერს აკეთებენ. ეს არაკეთილსინდისიერი სისტემაა.

**— ჩვენ ალბათ შეგვიძლია გავიგოთ იმ ადამიანის აზროვნება, რომელსაც ჩვენზე მეტი ფული აქვს. თუმცა, მილიარდების ქონა, ალბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ, ასევე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია გავიგოთ ის, თუ როგორ ფიქრობენ ეს ადამიანები, როგორია მათი მსოფლმხედველობა და რა არის მათი ზრახვები. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ვფიქრობ, მათ უკან დიდი მემკვიდრეობის დატოვება სურთ. თუმცა, მათზე დაკვირვებისას არ ჩანს, რომ ისინი ამ მოლოდინს ამართლებდნენ. უფრო მეტად, ის ჩანს, რომ საკუთარი ძალაუფლების და სიმიდრის გაზრდაზე ზრუნავენ. მათთვის რეკომენდაციის მიცემა რომ შეგეძლოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ღირსეული სახელის დატოვება, რას ურჩევდით?**

—ასეთ სიტუაციაში ალბათ არ მოვხვდები, რადგან, ჩემი აზრით, ეს უშედეგო საქმე იქნება. მაგრამ ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. პასუხი კი შეიძლება ის იყოს, რო ოლიგარქების უმრავლესობას საკუთარი შვილები მიაჩნიათ დანატოვარის გამგრძელებლებად. ფული ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ამ ფულს მოაქვს. პოლიტიკური ძალა კი მათ საშუალებას აძლევს, უწყვეტად ეცადონ ახალი თანხების მოძიებას, ახალი ფულის მოპარვას, არსებული სისტემის შენარჩუნებას. ასე რომ, ვფიქრობ მათი დანატოვარი მხოლოდ უჯახური დინასტიებია. იმ შემთხვევებისთვის კი, როცა მათ ქვეყანაში საქმე კარგად არ მიდის, ისინი გასაქცევ გზას ყოველთვის იტოვებენ იმისთვის, რომ თუ სხვაგან ცხოვრება დასჭირდათ, ეს ლონდონი, სამხრეთ საფრანგეთი ან მსგავსი ქვეყნები იყოს. საკუთარი ქვეყნებიდან ფულის გატანა და ქონების დასავლეთში დაცვა მათი დანატოვრის გამოხატულებაა.

**— ამისთვის კი მიზეზი არსებობს. თქვენ არაერთხელ დაგიწერიათ და გისაუბრიათ იმაზე, თუ რატომ იქცევიან ისინი ასე. შეიძლება მათი ქვეყანა სამხრეთ საფრანგეთზე ლამაზი იყოს, მაგრამ მათ საკუთარ ქვეყანას საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი ან პოსტ-საბჭოთა სივრცის გარეთ არსებული განვითარებული დასავლური ქვეყანა ურჩევნიათ. რა არის ამის მიზეზი?**

— თითოეულ ოლიგარქს საკუთარ ქვეყანაში ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, უფრო მეტი, ვიდრე მეგობარი. თუ მათ ქონება საკუთარ ქვეყანაში დატოვეს და ამის შემდეგ ძალაუფლება ვერ შეინარჩუნეს, შეიძლება ყველაფერი დაკარგონ. შეიძლება ისინი დაიჭირონ კიდეც. ფულის ქვეყნის გარეთ შენახვის ერთ-ერთი მიზეზი ესაა. გარდა ამისა, დასავლეთში ფულის დაბანდებით ისინი ამ ქვეყნებში გავლენას, ადამიანებს ყიდულობენ. ეს ყველაფერი კი ფარულად და შეუმჩნევლად ხდება. ასე მუშაობს ოლიგარქიული ქსელი.

სახელმწიფოს მიტაცება ხდება მაშინ, როცა ის ოლიგარქიული ქსელის გამო ნორმალურად არ ფუნქციონირებს. მაშინ, როცა ინსტიტუტები საკუთარ ფუნქციებს არ ასრულებენ. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ სასამართლო არ იღებს საკუთარ გადაწყვეტილებებს და ის უბრალოდ ოლიგარქების პიარსამსახურს წარმოადგენს. ან საკანონდებლო ორგანო არ არის სრულფასოვანი პარლამენტი, არამედ ბრძანებებს სხვისგან იღებს.

**— ამასთან ერთად, ალბათ კიდევ ერთი დამატებითი ელემენტიც არსებობს. ეს კანონის უზენაესობაა. თქვენ თქვით, რომ ოლიგარქები ქვეყნებში, როგორც წესი კანონის უზენაესობა არ არის და შესაბამისად, მათ ქონებას კანონი არ იცავს. მაგრამ თუ ისინი ფულს ლონდონის უძრავ ქონებაში ან ფრანგულ რივიერაში ჩადებენ, ამ ქვეყნების კანონი მათ გარკვეულ გარანტიებს მისცემს.**

— დიახ, ასეა.

**— ანუ, დემოკრატიული სისტემები ოლიგარქიას აძლიერებს იმით, რომ კანონის უზენაესობა აქვთ?**

— დიახ. რუსული სისტემა, ოლიგარქიული სისტემა, ვერ იარსებებდა იმ დაცვის გარეშე, რომელსაც მათ დასავლეთი სთავაზობს. ეს აზიაშიც ხდება, მაგრამ კანონით დაცულობის სისტემას ძირითადად

დასავლეთი უზრუნველყოფს. მაგრამ ხელშეწყობის გარდა, ჩვენ მათ სტიმულსაც კი ვაძლევთ, რაც კიდევ უფრო უარესია. ჩვენ ცუდ ადამიანებს ძალაუფლებაში მოსვლაში ვეხმარებით. მაგალითად, თუ შენ არ შეგიძლია შენი ქვეყნიდან ფულის დასავლეთში გატანა, მაშინ უბრალოდ სხვანაირად მოქცევა მოგიწევს, იმიტომ, რომ სიტუაცია შენს საწინააღმდეგოდ რომ შეტრიალდეს, შეიძლება ყველაფერი დაკარგო. შესაბამისად, ეცდები უფრო მეტად ანგარიშვალდებული იყო საკუთარ ხალხთან. ეს ოლიგარქების ფსიქოლოგიასაც შეცვლიდა. ერთი, რის გაკეთებაც დასავლეთს შეუძლია, ჩემი აზრით ისაა, რომ ნაკლებად მიმღები იყოს ოლიგარქების ფულის მიმართ.

**— ეს როგორ უნდა გაკეთდეს — რა მექანიზმები არსებობს ამისთვის?**

— პირველი და უმთავრესი საიდუმლო ანგარიშების გაუქმებაა, რადგან ეს წესები ძალიან აადვილებს ფულის დამალვას მთელ მსოფლიოში. ეს მხოლოდ ოლიგარქების ფულს არ ეხება, არამედ ზოგადად, მდიდარ ადამიანებს დასავლეთში. ეს ძალიან ცუდი პრაქტიკაა. საიდუმლო ანგარიშები ძირითადად 1960-ან წლებში გამოჩნდა და ჯერ ბერლინის კედლის დანგრევის, შემდეგ საბჭოთა სისტემის ჩამოშლის და ბოლო პერიოდში კი, ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური წინსვლის შემდეგ გაიზარდა. ამ სისტემით მდიდარი ადამიანები ყველგან სარგებლობენ, მაგრამ ოლიგარქებისთვის ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ სისტემის დაშლა არა მხლოდ ოლიგარქების გამო, არამედ ზოგადად ყველა საზოგადოებისთვის კარგი რამ იქნება.

**— ვიცით, დაახლოებით რა ოდენობის თანხაზე ვსაუბრობთ, როცა საიდუმლო ანგარიშებზე გვაქვს ლაპარაკი?**

— დიახ, ვიცით. საუკეთესო გამოთვლა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა, არავის გაუპროტესტებია, მათ შორის, არც საგადასახადო შეღავათების მიმწოდებელ იურისდიქციებს და არც ეკონომისტებს. ეს თანხა, სულ ცოტა, 32 ტრილიონი დოლარია. ეს წარმოუდგენლად დიდი თანხაა. ის ჯეიმს ჰენრიმ გამოთვალა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომისტი და ჰარვარდის კურსდამთავრებული იურისტია.

**— კლეპტოკრატიაზე საუბრისას, ხშირად ვსაუბრობთ სახელმწიფოს მიტაცებაზეც. რა არის ეს?**

— ეს კლეპტოკრატიულ ოლიგარქიაში სახელმწიფოზე ოლიგარქების ან მონოგარქის დომინაციაა, ანუ სახელმწიფოს მიტაცება ხდება მაშინ, როცა ის ოლიგარქიული ქსელის გამო ნორმალურად არ ფუნქციონირებს. მაშინ, როცა ინსტიტუტები საკუთარ ფუნქციებს არ ასრულებენ. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ სასამართლო არ იღებს საკუთარ გადაწყვეტილებებს და ის უბრალოდ ოლიგარქების პიარ სამსახურს წარმოადგენს. ან საკანონდებლო ორგანო არ არის სრულფასოვანი პარლამენტი, არამედ ბრძანებებს სხვისგან იღებს.

> საქართველო საინტერესო შემთხვევაა, სადაც სახელმწიფოს მიტაცების მკაცრი ბრალდებები ჟღერდება. ამავდროულად, საქართველოს მთავრობა და მთლიანად ქვეყანა აგრძელებს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს. საქართველოს ჯარისკაცები ამერიკის ჯართან ერთად იბრძვიან. ამის პარალელურად კი ვამბობთ, რომ ქვეყანა რუსეთთან ასოცირებულმა მონოგარქმა მიიტაცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სიტუაცია არ დამთავრებულა. ეს კონფლიქტია, რომელშიც მონოგარქიას ჯერ არ გაუმარჯვია.

**— ეს ახალი ფენომენია, როცა მთავრობა და ჩრდილოვანი მმართველობა ერთმანეთთან კონფლიქტშია, როცა ადამიანებს, რომლებიც ინსტიტუტების განვითარებას ცდილობენ, არაფორმალური მმართველობის დაბალანსება სჭირდებათ?**

— ვიტყოდი, რომ ეს ახალი ფენომენია, ოღონდ გააჩნია, რას ვგულისხმობთ ახალში. თანამედროვე კლეპტოკრატიას საერთაშორისო ელემენტი აქვს, რომელშიც გლობალური ფინანსური სისტემაცაა ჩართული. ამის გამო, დასავლეთი ერთ-ერთი წამახალისებელი მოთამაშეა ამ ახალ სისტემაში, რომელიც ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა.

**— საქართველოს შემთხვევა მართლაც საინტერესოა. ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება კარგადაა განვითარებული. მედია თავდასხმის სამიზნე იყო, მაგრამ ახლა, ახალი ტელევიზიების გახსნით, მედია გარემო უფრო პლურალისტური ხდება. საქართველო უდავოდ ცდილობს, არ იყოს პოსტსაბჭოთა კლეპტოკრატია. თუმცა, ასევე არის ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი კონტროლის შენარჩუნებას ცდილობს იმაზე, თუ როგორ განვითარდება ქვეყანა. მას, სავარაუდოდ, სჯერა, რომ საუკეთესო ზრახვები აქვს და რომ ყველაზე კარგად იცის, რა არის საუკეთესო ქვეყნის მომავლისთვის. სად გაწყდება ეს ძაფი? როგორ შეიძლება დამთავრდეს ეს კონფლიქტი — ვინ შეიძლება იყოს გამარჯვებული?**

— ვინ გაიმარჯვებს? როგორც წესი, კეთილი ძალები იმარჯვებენ. ისტორიას ისე რომ შევხედოთ, როგორც ბოროტისა და კეთილის ჭიდილს, დასასრული ხშირად ასეთია ხოლმე. პრაქტიკულად რომ ვისაუბროთ, საქართველოსთვის ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება მის გარშემო. საქართველომ საკუთარი თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლა უნდა გააგრძელოს. მაგრამ ის, თუ რა მოხდება რუსეთში, უკრაინაში, მოლდოვაში, გავლენას აუცილებლად იქონიებს საქართველოზე. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, თუ რა ხდება დასავლეთში. შეერთებულ შტატებს დღეს სერიოზული გამოწვევები აქვს. აქ გამოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური ძალები, რომლებიც გავლენის მოპოვებას ცდილობენ. იგივე სიტუაციაა ბევრ ევროპულ ქვეყანაში. საქართველოსთვის კარგი ისაა, რომ ის პატარა ქვეყანაა და თვითმყოფადობის შენარჩუნება ბევრი კუთხით შეუძლია. გარდა ამისა, საქართველოში მხოლოდ ერთი მონოგარქია, რომელიც გამოწვევას წარმოადგენს.

**— ანუ იმას ამბობთ, რომ სჯობს, ერთი მონოგარქი იყოს ქვეყანაში, ვიდრე ბევრი ოლიგარქი?**

— არ ვიცი. საქართველოს შემთხვევაში შეიძლება იმიტომ, რომ მთელი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა არ გიწევს, რადგან იქ მხოლოდ ერთი ქსელი არსებობს. თუ საქართველო შეძლებს რეალური დემოკრატიის შექმნას, მაშინ შეიძლება ის კარგი იყოს, რომ მხოლოდ ერთი ოპონენტი გყავს. ანუ, შეიძლება, ითქვას, რომ ეს კარგია.

**— საზოგადოებას შეუძლია ოლიგარქებს დაანახოს, რომ დემოკრატია და კანონის უზენაესობა მათთვის კარგია? თუ ეს ორი რამ ერთმანეთთან შეუთავსებელია?**

— არ მგონია, საზოგადოებას შეეძლოს ამის დემონსტრირება. ეს იმიტომ, რომ ადამიანი, რომელიც ოლიგარქი ხდება და სურს, რომ იყოს ოლიგარქი, არ არის დაინტერესებული თავისუფლებასა და დემოკრატიაში. მათ კონტროლი და არსებული სიტუაცია მოსწონთ.

**— მაშინ რის გაკეთება შეუძლია საზოგადოებას? როგორ შეუძლია მას უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა?**

— ისეთ ქვეყანაში, სადაც არჩევნები ჯერ ისევ ტარდება, ეს შესაძლებელია, განსაკუთრებით საერთაშორისო მონიტორინგის დახმარებით. საქართველოში არჩევნები მოდის და საზოგადოებას არჩევნების გზით შეუძლია ცვლილების განხორციელება.

**— ოლიგარქია დემოკრატიისთვის ცუდია? მათ ერთად ფუნქციონირება შეუძლიათ?**

— გააჩნია როგორ განვსაზღვრავთ ოლიგარქიას, მაგრამ პასუხია — არა. ოლიგარქია პოლიტიკური ძალის ფულით მოხვეჭას ნიშნავს, რაც დემოკრატიულ წესებსა და კანონის უზენაესობას აკნინებს. ეს კი დემოკრატიისა და ოლიგარქიის შეთავსებას ავტომატურად გამორიცხავს. ოლიგარქია დემოკრატიული, წესებზე დაფუძნებული სისტემის ანათემაა. მე არ მსმენია არც ერთი ოლიგარქის შესახებ, რომელიც დემოკრატიის მომხრეა.



**— ყოველ შემთხვევაში დღემდე...**

დიახ, ჯერ ასეთი არ გვიპოვია.

**ესაუბრა**
**ია მეურმიშვილი**

# ლელა გულედანი გულიანად გაკაკასდა და...

> **სამინისტროს არა აქვს არც კომპეტენცია, არც უნარი და არც ნება-სურვილი, რომ ეს პრობლემა წელში გატეხოს და დაასრულოს**

**ერთი თვეა თბილისში, ჯანდაცვის სამინისტროსთან საპროტესტო აქციას მართავენ დევნილები. მიზეზი დევნილთა ბინებით დაკმაყოფილების პროცესის მიმდინარეობაა.** 90 ათასი ოჯახიდან დაახლოებით ნახევარია დაკმაყოფილებული. „დევნილთა პარტიის" თავმჯდომარე ლელა გულედანი „რადიო თავისუფლების" ეთერში აცხადებს:

**„იმ ტემპით, როგორც ეს პროცესი მიდის, კიდევ 10-15 წელი გაგრძელდება. ეს არის სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხისადმი. სამინისტროს არა აქვს არც კომპეტენცია, არც უნარი და არც ნება-სურვილი, რომ ეს პრობლემა წელში გატეხოს და დაასრულოს.**

**ამას გარდა, არის ქულათა მინიჭების სისტემა, რომელსაც აპროტესტებენ დევნილები და ეს არის ძალიან დამამცირებელი დევნილებისთვის. მათთვის ბინების მინიჭება ქულებით არ უნდა წყდებოდეს. ისინი სახელმწიფოსგან ელოდებიან ბინებით დაკმაყოფილებას. დევნილობა უკვე არის სტატუსი და მას არ სჭირდება სოციალური სტატუსის განმაპირობებელი სხვა პირობები".**

ლელა გულედანის თქმით, ქულების მინიჭების პროცესი გაუმჭვირვალეა. ის „რადიო თავისუფლებას" უზიარებს სხვა დევნილების მონათხრობს:

**„მონიტორინგის სამსახური ადგილზე ამოწმებს სიტუაციას და როგორც უნდა ისე მიაქვს ამბავი კომისიის შეკრებაზე, სადაც ხდება გადაწყვეტილების მიღება. დევნილები მიყვებიან: მე მეკუთვნოდა ბინა, მაგრამ ჩემმა მეზობელმა მიიღო, რადგან ის ერთ-ერთი ჩინოვნიკის ნათესავია. არ გვაქვს ფაქტები. რომელი დევნილი წარმოადგენს კორუფციაზე ფაქტს?..**

**ამბობენ, ჩემმა მეგობარმა, ნათესავმა ამდენი გადაიხადა და მიიღო ბინა. ვიღაცებს უკვე მიღებული ჰქონდათ და გადაყიდეს უკვეო".**

ლელა გულედანს აქვს იდეა, შეისწავლოს საკითხი — იუსტიციის სახლიდან გამოითხოვოს დოკუმენტები, იურისტებთან ერთად შეისწავლოს რამდენი დევნილი დაკმაყოფილდა ბინით, რამდენმა გაყიდა ის.

**„სიამ, რომელიც ბოლოს დაიდო და ყველა გააღიზიანა. იდება სამი სახის სია: პირველი ეს არის კრიტერიუმებით დაკმაყოფილება, ანუ განაცხადის საფუძველზე დევნილების დაკმაყოფილება; მეორეა ვალდებულების საფუძველზე დაკმაყოფილება, ვისაც სასამართლოში აქვს საქმე და მოუგო სამინისტროს და მესამეა ნგრევადი ობიექტების დაცვა. პირველ სიაში არის ოჯახების ჩამონათვალი და გვერდზე უწერია ქულა. მეორე და მესამე სიებში ქულები არ ჩანს და ეს იწვევს დევნილებში ძალიან დიდ გაუგებრობას.**

**მე ვეუბნები დევნილებს, არ შეიძლება სამინისტროსთან ზეპირსიტყვიერად კომუნიკაცია, გამოითხოვეთ საბუთები".**

ლელა გულედანი ყვება შემთხვევებს, როცა დევნილის საქმეში სამინისტრომ არ ასახა სასამართლოს გადაწყვეტილება, ან როცა დევნილისთვის უთქვამთ:

**„შენ ოპოზიციაში ხარ, ბევრს ლაპარაკობ და ამიტომ ბინას არ მოგცემთო. თითქოს თავისი ჯიბიდან არიგებდნენ ჩინოვნიკები ამ ბინებს".**

„დევნილთა პარტიის" თავმჯდომარის თქმით, დევნილთა ბინებით უზრუნველყოფის პროცესი გამჭვირვალე რომ იყოს, პრეტენზია არავის ექნებოდა:

**„დავდგებით რიგში. უბრალოდ, მითხრან — ორ წელიწადში მიიღებ. ეს რომ ვიცოდე, დაველოდები იმ ორ წელიწადს, მაგრამ როცა ვხედავ, რაღაცას მაიმუნობენ, ქულა დამაკლეს, რაღაც საბუთი დაკარგეს, არ მიშვებენ, საქმეს არ მაჩვენებენ, სამინისტროს წარმომადგენელი მეუბნება — უი, არ ვიცოდი, სასამართლო გადაწყვეტილება თუ გქონდათ. ასეთ რამეს როცა აწყდები, უნდობლობა ჩნდება".**

ლელა გულედანი აღნიშნავს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის მცირე თანხაა გამოყოფილი. თუმცა, ისიც ესმის, რომ საკითხის მოგვარებისთვის ძალიან დიდი დაფინანსებაა საჭირო:

**„ყველა დევნილს რომ ბინა მისცეს სახელმწიფომ, მთელი ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის ნახევარი — 4 მილიარდი უნდა წავიდეს ამ პრობლემის მოგვარებაზე და მაშინ ყველა სხვა სამინისტრო უსახსროდ დარჩება...**

**ალტერნატიულ გზებზე სახელმწიფო არ ფიქრობს. უამრავი შენობა-ნაგებობა, მიწა აქვს გამოუყენებელი, რომლის პრივატიზაციაც ვერ მოახდინა".**

კვლავ აქტუალურია დევნილთა კონსოლიდაციის საკითხი. ხელისშემშლელ მიზეზებს შორის ის შემდეგს ჩამოთვლის: **„იმედგაცრუება, სოციალური პრობლემები. იდეა არ არის, რის ირგვლივაც უნდა გაერთიანდნენ დევნილები.**

**მოწყვლადი ფენაა. არ ფლობს კერძო საკუთრებას. ინტეგრირებული არ არის.**

**სულ ჩანთებზე რომ ზიხარ და არ იცი, როდის გაგასახლებენ...**

**ფაქტობრივად ბოშებივით ვართ. პირადად ჩემმა ოჯახმა ძალიან ბევრჯერ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. არ გვაქვს სტაბილურობის განცდა. რამდენჯერ მოვწყდით იმ სოციუმს, რომელსაც შევეჩვიეთ, სადაც სამსახური გვქონდა, სკოლა გვქონდა.**

**აქ დაბადებულები უფრო ადგილობრივად გრძნობენ თავს და არა დევნილად, თუმცა სტატუსი დევნილის აქვთ".**

„დევნილთა პარტიის" ლიდერი იმედგაცრუებას გამოთქვამს და არ მალავს, რომ საქართველოდან წასვლაზე ფიქრობს, თუმცა, მომავალ არჩევნებზე კვლავ აპირებს ცდას:

**„გადაწყვეტილი მქონდა, საერთოდ გავრიდებოდი სიტუაციას და პოლიტიკას და წავსულიყავი საზღვარგარეთ. დავრჩი რამდენიმე ხნით და რადგან ბარიერის დაწევაზე წავიდა საუბარი, ვიფიქრე, რატომაც არა?".**

**ესაუბრა**
**ნინო გელაშვილი**

## 700-მდე დევნილ ოჯახს თბილისში ბინები გადაეცა

**თბილისში, ახალაშენებულ კორპუსებში, ბინის მფლობელი 700-მდე დევნილი ოჯახი გახდა. იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ახალი ბინების გასაღები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ, სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა და პარლამენტის დეპუტატებმა აკაკი ზოიძემ, დიმიტრი ხუნდაძემ, ირაკლი ბერაიამ და რატი იონათამიშვილმა გადასცეს.**

**თბილისში, ბინის მიღების მოთხოვნით იძულებით გადაადგილებული ოჯახების განაცხადების მიღება ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. დამატებით, 270-ზე მეტ დევნილ ოჯახს ბინები წლის ბოლოს გადაეცემა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლიდან დღემდე, საცხოვრებელი ფართით 21 000-ზე მეტი დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა. იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლების მიზნით ბიუჯეტში გამოყოფილი თანხები ყოველწლიურად იზრდება.**



# ეკრანზე გაცოცხლებული ქართულ-ლატვიური ისტორიის ტრაგიკულ-ლირიკული ეპიზოდები

**თურმე, XXI საუკუნეში, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაშიც, შესაძლებელი ყოფილა უხმო დოკუმენტური კინოშედევრის შექმნა.**

დიახ, არ ვაჭარბებ — ასეთ შეფასებაში დამეთანხმება ყველა, ვინც თბილისის კინოს სახლში რეჟისორ **გოგი თორაძის** ახალ, რიგით 35-ე სატელევიზიო ფილმ „სპადეს“ პრემიერას დაესწრო (სცენარისა და ტრილოგიის იდეის ავტორები — მწერალი და მკვლევარი **ბადრი გოგუაძე** და **თენგიზ თხილავა,** რომელიც დასამახსოვრებელი ხმის ტემბრით კითხულობს ტექსტს).

ქართულ-ლატვიური კინოპროდუქტის წარდგინებამ უნივერსალური, ჩვენთვის უფრო სპორტული ჟანრის ერთგული კინოხელოვანის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, მნახველნი ვერც ამჯერად დაიტია და ბევრი მათგანი ორი მეგობარი ერის ღირსეულ შვილთა ტრაგიკული ისტორიისა და სიყვარულის ამსახველ კადრებს ფეხზე მდგომი ადევნებდა თვალს. მათ შორის უხვად იყვნენ ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოების, დიპლომატიური კორპუსის, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები.

სწორედ მათი, აგრეთვე საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში ლატვიის სამხედრო ატაშე რუდოლფ რუძუროგასა და ბუსსს „ანრის“ გენერალურ დირექტორ, შორეული ნაოსნობის კაპიტან ანზორ დიასამიძის გადამლებ ჯგუფთან თანამშრომლობითა და თანადგომით მოხერხდა საშვილიშვილო ჩანაფიქრის ხორცშესხმა, რომელსაც დაინტერესებული საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი საქართველოს კინოაკადემიის ორგანიზებით გამართულ საღამოზე გაეცნო.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი დიდი მაესტროების — გია ყანჩელისა და მიხეილ კობახიძის ნათელ ხსოვნას, ხოლო შემდეგ ქართველთა საამაყო სიძის, ჩვენი ფლოტის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ლატვიის ეროვნულ გმირ, ადმირალ თეოდორ სპადეს ბობოქარი სამხედრო და პირადი ცხოვრების შესახებ შევიტყვეთ ბევრი რამ (მთავარ როლებში: **არჩილ ოძელაშვილი** — თეოდორ სპადე და **ნინო კუნჭულია** — ნადეჟდა შველიძე).

ეკრანზე ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საუკუნისწინანდელი პოლიტიკური მძაობით, კონიუნქტურითა და გარიგებებით გამოწვეული მწარე რეალობა, თუმცა, მოგეხსენებათ, ასჯერ გაგონილს (ხანდახან — წაკითხულსაც!) ერთხელ ნანახი სჯობს. მანამდე კი ლატვიელთა საამაყო შვილის მრავლისმთქმელ ბიოგრაფიას გაეცანით.

**გია პლატონიშვილი**



## საღარბაზო ბარათი

### თეოდორ სპადე

(1891 წლის 6 მარტი – 1970 წლის 25 ივლისი)

**დაიბადა ბალტიის ზღვის სანაპიროზე, საპორტო ქალაქ ვინდავაში (დღეს – ვენტსპილსი).**

**დაამთავრა რიგის პოლიტექნიკუმი, სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსი და საფრანგეთის საზღვაო აკადემია.**

**I მსოფლიო ომის პერიოდში საზღვაო ოფიცრის რანგში მსახურობდა შავ ზღვაში დისლოცირებულ სამხედრო-საზღვაო ფლოტში, რომელიც ექვემდებარებოდა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ ამიერკავკასიის, ბოლოს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ბათუმის მართლმადიდებელ ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ნადეჟდა შველიძეზე (1917). მეთაურობდა ნაღმმზიდს, აგრეთვე ჩქარმავალ კატერთა რაზმს. ქართველ მეზღვაურთა ნაწილთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა საქართველოში შემოჭრილ ოსმალეთის იმპერიის არმიას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია მიიტაცა (1918). ექვსი თვე გაატარა ტყვეობაში, საიდანაც თავისმა მეუღლემ გამოისყიდა. 1920 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მსახურობდა ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებში, რომელსაც 1931-1940 წწ. ადმირალის რანგში ხელმძღვანელობდა. დაჯილდოებულია ლატვიის, საფრანგეთის, შვედეთის, პოლონეთის, ლიეტუვისა და ესტონეთის საპატიო სახელმწიფო ჯილდოებით. მისი მეუღლე ნ. შველიძე (გარდაიცვალა 1937 წელს ლოზანაში) დიდ თანადგომას იჩენდა ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების მიმართ. სსრკ-ის შეიარაღებული ძალების მიერ ლატვიის ოკუპაციის (1940) შემდეგ ადმირალი დააპატიმრეს. 1954 წელს, გათავისუფლების შემდეგ, გადაასახლეს ყაზახეთის ქ. თემირტაუში, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. 2014 წლის ნოემბერში, ლატვიის პრეზიდენტ იანის ბერზინშის ოფიციალური ვიზიტისას, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა, რომელსაც ქართულ და ლატვიურ ენებზე აწერია: „ლატვიის სამხედრო ფლოტის ადმირალს თეოდორ სპადეს (1891-1970) საქართველოს სამხედრო ფლოტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.**



# „ზღვის მცველი“ – ერთგულების სიმბოლო

## საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთი შემოვიდა

**საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთი (SNMCMG2) შემოვიდა, რომლის შემადგენლობაშიც არის საფლაგმანო ხომალდი – ITS VESUVIO (იტალია) და ხომალდი TCG AMASRA (თურქეთი).**

ბათუმის ნავსადგურში სტუმრებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი თემურ კეკელიძე და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები დახვდნენ. ნატოს მუდმივმოქმედ მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთს კაპიტანი ალესანდრო ფალკონე ხელმძღვანელობს.



**„ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს ნატოს მხრიდან საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ძლიერ პოლიტიკურ გზავნილს. გარდა ამისა, ვიზიტს აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ხდება ურთიერთთავსებადობის გაძლიერება ნატოს საზღვაო შენაერთებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ელემენტებს შორის.**

**ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ერთობლივი წვრთნები სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება, რომელიც მოიცავს ერთობლივ მანევრებს და წყალქვეშა უსაფრთხოების კომპონენტებს. ასევე, წვრთნებში მონაწილეობას მიიღებს აბორდაჟის ტაქტიკური ჯგუფები. ეს სწორედ ის ჯგუფებია, რომლებიც დეკლარირებულია ნატოს საზღვაო ოპერაციაში — „ზღვის მცველი“** — განაცხადა თემურ კეკელიძემ.

დახვედრის ცერემონიაში საქართველოში პოლონეთის საელჩოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვისა და ნატოს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

**„საქართველო ნატოს ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი პარტნიორია რეგიონში. ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის ვიზიტი ალიანსსა და საქართველოს შორის ძლიერი და მზარდი პარტნიორობის დასტურია,“** — განაცხადა კაპიტანმა ალესანდრო ფალკონემ. ვიზიტის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პირველი რანგის კაპიტანი ემზარ აბრამიშვილი ხომალდის მეთაურს, კაპიტან ალესანდრო ფალკონეს სანაპირო დაცვის ბაზაზე შეხვდება. პარალელურად, საკოორდინაციო შეხვედრები გაიმართება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის ეკიპაჟსა და საქართველოს სანაპირო დაცვის წარმომადგენლებს შორის.

შეხვედრებზე მხარეები 28-30 ოქტომბერს დაგეგმილი ფართომასშტაბიანი საზღვაო წვრთნების დეტალებზე შეთანხმდებიან.

ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) ვიზიტი საქართველოში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან არსებული წარმატებული საზღვაო თანამშრომლობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია და წარმოადგენს ალიანსის მხრიდან საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერის მორიგ დადასტურებას.



* * *

**ბათუმის ნავსადგურში მყოფ ამერიკულ სამხედრო ხომალდ „პორტერზე“ საზეიმო მიღება მოეწყო. მიღებას შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა უმასპინძლა.**

მან გემის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობაზე ქართულად ისაუბრა. საზეიმო მიღებას საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები დაესწრნენ. ღონისძიებაზე სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობაც იყო.

**„მოუთმენლად ველით საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის გაძლიერებას შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულებით. ეს ვიზიტები ადასტურებს ამერიკის ერთგულებას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიმართ შავი ზღვის რეგიონში“,** — განაცხადა რუდმა.

# გურამ პეტრიაშვილი



## ზღაპარი

ვუძღვნი ნინო ჩაკვეტაძეს

უცებ ვიგრძენი, რომ სადღაც აქვე
ამ სავარძლის ან კარადის იქით
მწვანეთვალება მელის ზღაპარი
ხელში შუშხუნა შარბათის ჭიქით.

გამოვა ჩემს წინვითომ კოჭლობით,
რა ქნას, ბავშვია, უყვარს თამაში,
ზღაპარს თამაში უნდა უყვარდეს
და უცნაური რაა ამაში?

მუშკეტერობას გაითამაშებს,
ათოსია თუ დარტანიანი,
ფრანგია, მაგრამ თან ქართველია,
შავგულიძე თუ კვანტალიანი.

მერე კი თამაშს განაგრძობს ასე:
ვით ბავშვი დევი კოჭებს აგორებს,
თანა ჰგავს სერგო ზაქარიაძეს,
თან მის მეწყვილე რამაზს მაგონებს.

კოჭის თამაშით გულს რომ იჯერებს,
ფიროსმანისა გახდება შველი,
დგას ვარდის ბუჩქთან და მკერდში დაჭრილს
თვალთაგან დასდის ცრემლები ცხელი.

მერე გახდება თაგვი ფიცხელა
მამაცი, ლაღი, მოუსვენარი,
ალბათ სარკეში იხედებოდა,
მასზე რომ წერდა დიდი მწერალი.

შემდეგ პეპელად გაიფარფატებს
და გაიხარებს ანკარა ნამით,
თავის ორეულს იცნობს სარკეში
და შეყოვნდება სულ ერთი წამით.

ბოლოს კი ჩემს „მე“-დ გადაიქცევა,
პატარა ბიჭად პირველკლასელად,
„აი ია“ რომ აუხსნეს გუშინ
და ეს გაუხდა თვალის ახელად...

თან სულ იბრწყინებს იმ მზედ ვეებად,
მთელი ბავშვობა გვერდით რომ მდევდა...
მერე გაქრება და მე დამრჩება
იმ მზეზე დიდი ტკბილ-მწარე სევდა.

## მღეროდნენ ქალები

ხეივანში ორი ქალი მღეროდა,
ხეებიდან ბანს აძლევდნენ ჩიტები,
ვინც ისმენდა, ცხარე ცრემლი სცვიოდა
და ჭკნებოდნენ ვარდები და ტიტები.

ხეივანში ორი ქალი ტიროდა
და სიმღერად ამოსთქვამდნენ კვნესასა,
იმ კვნესას ხმას აყოლებდნენ ჩიტები,
ჰპასუხობდნენ ყოველ ამოკვნესასა.

ხეივანში ორი ქალი კვდებოდა.
ქალებს ჰკლავდათ საქართველოს ბედი.
ხეივანში ორი ქალი კვნესოდა,
ორი ქალი – ორი ნაზი გედი.

ხეებიდან დასტიროდნენ ჩიტები
ქალების და საქართველოს სევდას.
საქართველოს – ჩვენს პატარა ქვეყანას,
ჩვენს საყვარელ და საბრალო დედას.

## ქართველ ქალიშვილს

დაჰხრი წამწამებს და ტუჩებზე გითრთის ღიმილი,
იერზე გატყობ, უფრთხი თამამ ქათინაურებს,
შენც ლამაზი ხარ, მაგრამ, კარგო სხვა ლამაზებში
ეგ შენი რიდი, შენი კდემა გაწინაურებს.

შენ დედოფლების მემკვიდრე ხარ, ცხოვრობ
ჩვენს გვერდით,
ვინც ამას ხვდება, მადლობა ღმერთს, არიან ბევრნი,
მაგრამ ვიდრემდის ყველა იგრძნობს შენს
სიდიადეს,
შენს ლამაზ თავზეც ტრიალებენ ცხოვრების
კევრნი.

ჯერ კი... ჯერ კვლავაც გაუძელი ღადავს და
ღლაბუცს,
ჭუჭყსა და ნაგავს... და უმზირე მშვიდად ოცნებას,
გწამდეს ძვირფასო, რომ ცხოვრების ყოველი წამი
მიგაახლოებს შენი კდემის გასხივოსნებას.

* * *

დიმიტრი ერისთავს

შენი ქალები მოდიან მწყობრად,
მოდიან ლაღად,
მათი ღიმილი ჩამწვდომია
გულისგულამდე.
გამოსცდებიან ნახატის ჩარჩოს
და მაყურებელს გაჰყვებიან
მთლად სიცოცხლის დასასრულამდე.

## ძალუაჩემი და საკერავი მანქანა

ძალუაჩემმა იცოდა კერვა,
ჰქონდა მანქანა საკერავი,
კოხტა „ზინგერი“,
ეს ლაღი სიტყვა
გერმანულად მომღერალს ნიშნავს,
„ზინგერი“ თუ გაქვს,
გეჩვენება, თითქოს იმღერი...
და მაშინ მართლაც მეჩვენებოდა,
მანქანის ჩუმი დაგა-დუგი
სიმღერას ჰგავდა,
მანქანა იგი
ძალუაჩემს
კი არა ჰქონდა,
მანქანა იგი
ძალუაჩემს
ბავშვივით ჰყავდა.

## საბრალო კაცი

ჩამოიმარცვლა კრიალოსანი
და აღარ დარჩა ერთიც იმედი,
მას აღარავინ მოეფერება
„გენაცვალე“-თი და „ჭირიმე“-თი.

ცხვირპირში ნაცემს, ვაი, რომ უკვე
სისხლი და ცრემლი არვინ მოჰბანა,
ყველამ შეწყვიტა მასთან სალამი,
„დიახ“-ობანა, „ბოდიშ“-ობანა.

წევს პარკში, სცივა ამ მაგარ სკამზე,
სტკივა ნაცემი, სუსტი ნეკნები,
ღმერთო, შენღა ხარ მხოლოდ იმედი
და სიკვდილამდე შენღა იქნები...

## დედა

მიგყავდა ერთად ორი შვილი და ორი ცუგა,
ეფერებოდნენ ლამაზ ძაღლებს კოხტა ბავშვები
და გეტყობოდა, რომ იყავი მზრუნველი დედა,
არ იყავ მათი ნაბიჯითაც გვერდზე გამშვები.

თან ასწავლიდი, თუ ვის უნდა აჩუქონ ხურდა,
ვის დაეხმარონ, გადავიდეს ქუჩაზე ფრთხილად,
ვის, დაღონებულს, დაუქნიონ ღიმილით ხელი,
რომ მოღრუბლული მწუხრის ბინდი ეჩვენოს დილად.

სიკეთე, დედავ! სულ მშვიდობა იყოს შენს ჭერქვეშ,
ჯანმრთელობა და პატარების ბედნიერება,
ვინც შენა განახა, იმან იცის, რომ ჩვენს ყოფაშიც
აქვე ჩვენს გვერდით არის სრული მშვენიერება.

## მერყევი ბედი

გაგეშალა პარაშუტი თუკი
ნუ იფიქრებ, აგცდა ბედი გლახა,
გელოდება ძირს ჭაობი მყრალი
და ნიანგის დაღებული ხახა.

მაგრამ მაინც ნუ დაჰკარგავ იმედს
ბედისწერა გელის მაინც რბილი
ვერა მუწავს ეს ნიანგი ხახას,
რადგან სტკივა ორასივე კბილი...

* * *

ამოვიკვნესე,
ჩავეკარი
ჩემს მშობელ მიწას,
ვკვდებოდი, მაგრამ
აღარ მქონდა
ამისი დარდი,
მე რომ მიყვარდა,
არასოდეს მეეჭვებოდა,
ახლა კი მივხვდი,
ჰოი, ღმერთო,
მასაც ვუყვარდი.

## ძველი რომის აბანოს ნაშთები საბერძნეთში

**საბერძნეთში, ძველ ქალაქ ტენეაში, პელოპონესში არქეოლოგებმა ძველი რომაული აბანოები იპოვეს.**

სპეციალისტების შეფასებით აბანოების კომპლექსი ფართით 500 კვადრატული მეტრი ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში და პირველი საუკუნის ნახევარში აშენდა.



არქეოლოგების შეფასებით, კომპლექსი კარგად არის შემონახული, ზოგიერთ ოთახში შემორჩენილია თიხის იატაკი, სადაც არის საღებავის კვალი.

ამის გარდა გათხრების დროს იპოვეს არომატული ზეთების ჭურჭელი და ქანდაკების ნარჩენები, რომელიც ელინისტური ეპოქით თარიღდება.

## QUEEN-ის ახალი ვიდეორგოლი

**ლეგენდარული ჯგუფის Queen-ის თაყვანისმცემლებმა ჯგუფის 3 ყველაზე ცნობილ სიმღერაზე ვიდეორგოლი გადაიღეს.**

ახალ ვიდეორგოლში 10 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ჯგუფის წევრებმა კი ჰოლივუდ რეკორდსთან ერთად სიმღერები ერთ ვიდეორგოლად აქციეს და „იუთუბზე“ განათავსეს. ახალი კლიპის შექმნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც იუთუბზე სიმღერა




„ბოჰემური რაფსოდია“ მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

## ერთი ბოთლი ვისკი... 2 მლნ. დოლარად

**Sotheby-ს აუქციონზე, ლონდონში ერთი ბოთლი ვისკი რეკორდულ თანხად გაიყიდა.**

1926 წელს ჩამოსხმულ შოტლანდიურ ვისკში Maccallan-ი (60-წლიანი დაძველებით) უცნობმა $1,9 მილიონი გადაიხადა. მანამდე დამყარებული რეკორდიც ამავე ბრენდის ვისკის ეკუთვნოდა, რომლის ბოთლიც მხატვარ მაიკლ დილონის მიერ იყო მოხატული. 2018 წლის ნოემბერში ვისკი აუქციონზე $1,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.



# რატომ დათმო რუსეთმა ტარიელ ონიანი?!



## „დიდი ომი“ გადაიდო?

**მართალია, კულუარულ საუბრებში რუსი ძალოვანები ნაკლებ შესაძლებლად განიხილავდნენ კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ონიანის ექსტრადიციის საკითხს; პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ რუსეთი ესპანეთში იშვიათად ახდენს ეჭვმიტანილთა ექსტრადირებას, მით უფრო ისეთების, როგორიც ონიანია, თუმცა ფაქტია, რომ ონიანი დღეს უკვე ესპანეთში იმყოფება — მისი რუსეთიდან ექსტრადიცია 23 ოქტომბერს განხორციელდა. ამასთან, რუსეთში „დაადგინეს“, რომ ესპანეთიდან გაქცეულმა ონიანმა 2006 წელს რუსეთის მოქალაქეობა უკანონო გზით მიიღო, ჩამოართვეს და მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა არასასურველად გამოაცხადეს.**

ესპანეთში ონიანს 1995—2005 წლებში დანაშაულებრივი სინდიკატის შექმნასა და მის ფარგლებში ფულის გათეთრებას ედავება, რის საფუძველზეც 8,5-წლიან პატიმრობასა და 50 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდას ითხოვს.

**ჯერ კიდევ გაზაფხულზე, როდესაც ონიანმა 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ ორენბურგის ოლქის საპატიმრო დატოვა, თუმცა რამდენიმე საათში ისევ დააპატიმრეს (როგორც ოფიციალურად ითქვა, ესპანეთის მოთხოვნის საფუძველზე), სპეციალისტები კრიმინალურ სამყაროში ლიდერობისთვის ნამდვილი ომის გაჩაღებას აანონსებდნენ. „სამართალდამცველთა დაცვის ლიგის“ წევრი ირაკლი ქადაგიძე, რომელიც შსს-ში მუშაობის დროს ორგანიზებულ დანაშაულს ებრძოდა, ვარაუდობს, რომ რუსეთი სწორედ ამ „ომის“ თავიდან არიდებას ცდილობს.**

მას კითხვას უჩენს ის გარემოება, რომ ონიანის შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება „უჩვეულოდ“ მოიქცა. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც კრიმინალური ავტორიტეტების ექსტრადიციას ერიდება, გამონაკლისი ონიანთან დაკავშირებით დაუშვა. ერთ-ერთ მაგალითად მას შაქრო კალაშოვის შემთხვევა მოჰყავს, რომელიც საქართველოს მიერ დღემდე იძებნება.

**„რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რომ ის ესპანეთიდან რუსეთში წაეყვანა და საქართველოსთვის არ გადმოეცა. იგივეს ადასტურებს რუსეთის თავდადებული ბრძოლა, აშშ-ს გადაეცა მისთვის ვიაჩესლავ ივანოვი, იგივე „იაპონჩიკი“,** — ამბობს ქადაგიძე და დასმულ კითხვას პასუხობს: **„კრიმინალური სამყაროს თავკაცად სახელდებოდა სამი პირი: ვიაჩესლავ ივანოვი, მეტსახელად „იაპონჩიკი“, რომელიც მოკლეს; ასლან უსოიანი, იგივე „დედჰასანი“, რომელიც „იაპონჩიკის“ მარჯვენა ხელი იყო, „ქურდული სალარო“ მას ებარა, და მესამე პირად ყოველთვის სახელდებოდა ტარიელ ონიანი, იგივე „ტარო“, რომელსაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა შეეძლო გავლენებით, ფულით, მისი დაჯგუფების სიძლიერით თუ ალბათ, იღბლითაც. როგორც წესი, რუსეთი კრიმინალურ ავტორიტეტს არასდროს გადასცემდა სხვა ქვეყანას და ეს რატომ მოხდა ონიანის შემთხვევაში? ვფიქრობ, პასუხი მარტივია: დღეს კრიმინალურ სამყაროში შიდა დაპირისპირებები მიმდინარეობს. ონიანმა სასჯელი მოიხადა და რომ არა ესპანეთის აქტიურობა და რუსეთის გადაწყვეტილება ექსტრადიციის თაობაზე, მას უკვე თავისუფლებაში შეეძლო კრიმინალური სამყაროს მართვა. შესაბამისად, ვიღაცამ, რომელიც მოკალათებულია რუსეთის მთავრობაში, კრიმინალურ სამყაროსთან თანამშრომლობს და აკონტროლებს ბიზნესს, გადაწყვიტა, რომ დალაგებულ სიტუაციაში ონიანი ტვირთი იქნებოდა, რომელიც ყველაფერს არევ-დარევდა, კრიმინალურ სამყაროში დაიწყებოდა გამალებული ომი პირველობისა და გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის“.**

ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კონტექსტში განიხილავს ქადაგიძე კალაშოვის ესპანეთიდან რუსეთში ექსტრადიციას: **„შაქრო კალაშოვი აკონტროლებდა ბევრ ბიზნესს, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებს, კარგად იყო რუსეთში მოკალათებული და ეს აწყობდა როგორც კრიმინალურ სამყაროს, ისე ხელისუფლებას.. მართალია, რიგი დაჯგუფებები მისი აღზევების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ კალაშოვი „იაპონჩიკის“, „დედჰასანის“ მკვლელობებისა და ონიანის დაკავების შემდეგ თავს №1 „ქურდად“ ასაღებდა“.**

მისივე შეფასებით, რუსეთის ხელისუფლებისა და კრიმინალური სამყაროს თანამშრომლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2018 წელს №1 „კანონიერი ქურდის“დასახელების საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე გადადება კრიმინალებს „ეფესბე“-ს წარმომადგენლებმა სთხოვეს. ისინიც თხოვნას გაგებით მოეკიდნენ და შიშკანოვმა №1 „კანონიერი ქურდის“ „ტახტიც“პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ხუთიოდე დღეში დაიკავა.

**„რუსეთმა „ფსონი“ შიშკანოვზე დადო: ის რუსული წარმოშობისაა და სწორედ რუსული წარმოშობის კრიმინალების გაძლიერება სურთ, ხოლო გამოძალვით და სხვადასხვა არალეგალური გზებით შექმნილი „დოვლათი“ ქვეყნიდან არ გავიდეს“,— ამბობს ქადაგიძე და დასძენს, რომ „ამდენად, არც შიშკანოვს, არც რუსეთის ხელისუფლებას, არც კალაშოვს არც სხვა „კრიმინალურ გენერლებს“, არ აწყობთ ონიანის საპატიმროს გარეთ ხილვა და გაუშვეს ესპანეთის ციხეში“.**

მიუხედავად აღნიშნული გადაწყვეტილებისა, ქადაგიძის დაკვირვებით კრიმინალურ სინდიკატებს შორის ფარული ომი გრძელდება: **„ონიანის მიმდევრები გარეთ არიან, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში — მას გავლენის სფეროები არ დაუკარგავს. ახლა ყველაფერი არეულია: ვიცით, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის „კანონიერი ქურდი“ ნადირ სალიფოვი, იგივე „გული“ ცდილობს, თავისი სინდიკატი ჩამოაყალიბოს, არსებობს შიშკანოვი თავისი მხარდამჭერებით, ონიანი და ა.შ. შექმნილია სინდიკატები და ყველა ცდილობს, გავლენის სფეროები გააფართოონ. ისინი ერთმანეთის ლიკვიდაციასაც არ ერიდებიან“.**

შეგახსენებთ: 2018 წლის მონაცემებით, 400-მდე აქტიური „კანონიერი ქურდია“, მათგან 56% ქართული წარმოშობისაა, 12% — რუსული, 7% — სომხური, 4% — აზერბაიჯანული, 3% — აფხაზური, 2% — ჩეჩნური და ებრაული.

## აღმოაჩინეს მიგრანტების არალეგალურად გადამყვანი ჯგუფი

**გერმანიის პოლიციამ გუშინ მიგრანტების გადამყვანი ჯგუფის წინააღმდეგ მსხვილი სპეცოპრაცია ჩაატარა, ამის შესახებ რუსული მედია წერს. ჯგუფს ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ არალეგალურად გერმანიიდან ნიდერლანდებში სირიის მოქალაქეები გადაჰყავდა. სპეცოპერაციაში 400-მდე სამართალდამცველი მონაწილეობდა. მათ დაჯგუფების ორი წევრი დააკავეს, რომელთაც ათწლიანი პატიმრობა ემუქრებათ.**

საქმე ეხებოდა სირიის მოქალაქეების კონტრაბანდას. ამისთვის გამოიყენებოდა ბავარიაში ბაიროიტის აეროპორტი, საიდანაც მიგრანტები ფრანკფურტში მიფრინავდნენ, პოლიცია ინფორმაციას 26 შემთხვევის შესახებ ფლობს. აქედან არალეგალურად მიგრანტების გადაყვანის 10 ფაქტი პოლიციამ გამოავლინა. გამოძიება 2018 წლის ბოლოს დაიწყო.






## EMINEM-ი ტრამპს სიმღერით ემუქრება

**ამერიკელი რეპერი Eminem-ი სიმღერებში აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და მისი ქალიშვილის ივანკა ტრამპის მიმართ მუქარის გამო აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა დაკითხა. ინფორმაციას ამის შესახებ სამსახურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოცემა Buzzfeed-ი ავრცელებს.**

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რეპერის ქმედებებს საიდუმლო სამსახურში „მიუღებელს“ უწოდებენ, ვინაიდან ის „დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ემუქრებოდა“.

საუბარია სიმღერა Framed-ის ტექსტზე, რომელშიც რეპერი აშშ-ის პრეზიდენტს Donald Duck-ს („იხვი დონალდი“) უწოდებს და ორაზროვნად ივანკა ტრამპს იხსენიებს. გავრცელებული ინფორმაციით, სიმღერის შინაარსის შესახებ საიდუმლო სამსახურს გამოცემა TMZ-ის თანამშრომელმა შეატყობინა, თუმცა Buzzfeed-ი ვარაუდობს, რომ ჟურნალისტმა, უბრალოდ, ძალოვანი უწყების კომენტარი გამოითხოვა. გამოცემის ინფორმაციით, რეპერის დაკითხვის შემდეგ საქმე დაიხურა.

## 39 წლის წინანდელი მკვლელობა გაუხსნეს

**აშშ-ში, ტეხასელმა პოლიციელებმა დააკავეს 86 წლის მამაკაცი, რომელიც თითქმის 40 წლის წინ ჩადენილ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.**

უოლტერ ჯეიმს მეისონი 10 ოქტომბერს დააკავეს. ის ტეხასში შეცვლილი სახელით ცხოვრობდა. მამაკაცის ნამდვილი ვინაობა თითის ანაბეჭდებით დაადგინეს. 13 ოქტომბერს ის აიდაჰოს შტატში, ქალაქ კლეიტონში გადაიყვანეს, სადაც დანაშაული მოხდა. მეისონი დანაშაულს არ აღიარებს.

მკვლელობა 1980 წლის 22 სექტემბერს მოხდა. კლეიტონის ერთ-ერთ ბარში დენიელ მეისონ ვული ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს. ბარის სხვა მომხმარებელი მხარში იყო დაჭრილი. დანაშაულის ადგილზე ასევე აღმოაჩინეს სასტიკად ნაცემი ქალი. გამოცემა New York Daily News-ის ცნობით, ქალი მეისონის ცოლი აღმოჩნდა. ქალზე თავდასხმის შემდეგ მეისონი ბარიდან გაიყვანეს. მამაკაცმა ქუჩაში გაჩერებული მანქანიდან ორი პისტოლეტი ამოიღო, ბარში დაბრუნდა და სროლა დაიწყო. ამის შემდეგ ის დანაშაულის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ მის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნო.

როგორც Washington Post-ი წერს, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები ადგილობრივ პოლიციას გამოძიებაში 1985 წლამდე ეხმარებოდნენ, მაგრამ უშედეგოდ, შემდეგ კი გამოძიება შეწყვიტეს. თუ როგორ გავიდა პოლიცია მეისონის კვალზე, ამაზე არაფერია ნათქვამი.

## ქურდობაც ამას ჰქვია!..

**იაპონიის ქალაქ იოკოჰამას ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრიდან მოიპარეს 50-კარატიანი ბრილიანტი, რომლის ღირებულება 200 მლნ იაპონურ იენს შეადგენს (1.8 მლნ დოლარი). ბრილიანტის დაკარგვის ფაქტი, ძვირფასეულობის გამოფენის დახურვის დროს აღმოაჩინეს.**

როგორც იუწყებიან, ბრილიანტის გარდა სხვა სამკაულები არ დაკარგულა. სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ნახეს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ბრილიანტთან ხანდაზმული მამაკაცი რამდენიმე ქალთან ერთად შეყოვნდა, თუმცა ჯერჯერობით არ დასტურდება, უკავშირდება თუ არა ეს ჯგუფი ბრილიანტის დაკარგვას.



**ახალი ეპიდემიის ზღურბლზე**

# რა არ ჰყოფნის გულს?

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო წლებში ზოგიერთ რეგიონში ინფარქტებისა და ინსულტების რაოდენობის შემცირების ტენდენცია კი შეინიშნება, სამაგიეროდ მატულობს გულის უკმარისობის შემთხვევების რიცხვი. საგანგაშოა, რომ მედიკოსთა პროგნოზით, უახლოეს 10-15 წელიწადში სწორედ ეს დაავადება გახდება კარდიოლოგთა მთავარი საზრუნავი. მაშ, როგორ უნდა დავიცვათ გული? სწორედ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე კოლეგებთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრებთან, ექიმ-კარდიოლოგებთან — იური ბელენკოვთან და ბაგრატ ალეკიანთან ერთად საუბრობს ჩვენი თანამემამულე, ასევე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ქირურგიაში ამირან რევიშვილი.**


აკადემიკოსი ამირან რევიშვილი

**გულის უკმარისობა** — ესაა დაავადება, რომლის დროსაც გული, როგორც ორგანიზმში სისხლის გადამტუმბავი საქაჩი, სრული დატვირთვით ველარ მუშაობს. დროთა განმავლობაში გულის უკმარისობა იწვევს ჟანგბადის ნაკლებობას, რაც არა მარტო აუარესებს სიცოცხლის ხარისხს, არამედ მთელი ორგანიზმის ცვეთას იწვევს და გულით უცაბედი სიკვდილის რისკს ზრდის. სტატისტიკა მოწმობს, რომ ამ დიაგნოზის მქონე ადამიანები ათჯერ უფრო ხშირად იღუპებიან, ვიდრე მიოკარდის ინფარქტის მიზეზით.

გულის ქრონიკული უკმარისობა შესაძლოა, უცბად დაიწყოს, ვთქვათ, გადატანილი ინფარქტისა და არითმიის შემდეგ, თუმცა სხვადასხვა მიზეზით შესაძლოა, თანდათანობით განვითარდეს. ამ მიზეზთა შორის, შეიძლება დავასახელოთ:

— **სხვადასხვა დაავადება** (მათ შორის გულის სარქველთა, რკინის დეფიციტით გამოწვეული ანემია, შაქრიანი დიაბეტი, ინტოქსიკაცია და მძიმე ინფექციები), რომლებსაც გულის კუნთის ხანგრძლივი დატვირთვის გამოწვევა შეუძლიათ;

— **გადატანილი აგრესიული მკურნალობების სახეობები**. მაგალითად, კარდიოტოქსიკური თვისებები აქვთ ქიმიო და სხივურ თერაპიას, რომლებსაც კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისას მიმართავენ;

— **წამლების უკონტროლო მოხმარება**. განსაკუთრებით მავნეა ერთდროულად რამდენიმე პრეპარატის მიღება, რომელთა შეხამების მომყოლი ეფექტი აქვთ, მათ შორის გულზე, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გაძლიერდეს. ამიტომ, წამლების თავსებადობის თაობაზე აუცილებელია თერაპევტთან კონსულტაცია. თანაც, ბუნებრივია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პრეპარატების თვითნებურად მიღება და მათი დოზირების შეცვლა.

— **არაკონტროლირებადი ჰიპერტონია**. კარდიოლოგთა ერთსულოვანი აზრით, გულის ქრონიკული უკმარისობის მთავარი მიზეზი სწორედ რომ არტერიული ჰიპერტონიაა, რომელიც მკურნალობას მხოლოდ შემთხვევათა 50-55 პროცენტში ექვემდებარება, ხოლო მისი მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა და მათი შენარჩუნება მხოლოდ შემთხვევათა 7-8 პროცენტის ფარგლებში ხდება.

მიუხედავად ამისა, ავადმყოფთა დიდ ნაწილს მაინც არ სურს იმასთან შეგუება, რომ **წნევის წამლების მიღება რეგულარულად და მთელი სიცოცხლის მანძილზეა საჭირო და არა ეპიზოდურად, მხოლოდ მაშინ, როცა თავს ცუდად იგრძნობთ, თანაც თერაპიის შერჩევა საჭიროა ინდივიდუალურად და, ცხადია, სამედიცინო კონტროლის ქვეშ მისი დროდადრო შეცვლა.**

ჰაერის უკმარისობა, ძლიერი და არარითმული გულისცემა, ხუთვა, შეშუპება, ხიხინი ფილტვებში, მარცხენა მხარეს დაწოლისას დისკომფორტის შეგრძნება — ყველა ეს სიმპტომი გულის ქრონიკული უკმარისობის მხოლოდ გვიანდელ სტადიაზე ვლინდება (მთლიანად ასეთი ოთხია). თავდაპირველად კი ყველაფერი უსისტემოდ, ანდა მცირედი კუნთოვანი სისუსტის, მოქარბებული დაღლილობისა და შემცივნების გრძნობების ფონზე მიმდინარეობს. მაგრამ, ასეთ „უმნიშვნელო“ სიმპტომებს განა ვინმე აქცევს ჯეროვან ყურადღებას? არადა, სნეულება ვერაგია და ხშირად ხდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს კაცი იძინებს და გულის გაჩერების გამო აღარ იღვიძებს.

**გულის ქრონიკული უკმარისობის მძიმე მწვავე შეტევის დროს, ავადმყოფებისთვის ქმედითი დახმარების გაწევა მხოლოდ გადაუდებელი სარეანიმაციო მოქმედებებით შეიძლება. ამისთვის კი მედიკოსებს სულ 10 წუთი აქვთ. თუკი უბედურება საავადმყოფოში მოხდა, გულის ხელმეორედ „ჩართვა“ ხშირ შემთხვევაში ხერხდება, ოღონდ, თუკი შემთხვევა ქუჩაში მოხდა, მაშინ გადარჩენის შანსები ძალიან მწირია. ამიტომაც, უმჯობესია ბედთან თამაშს თავი დავანებოთ და თავი დროულად გამოვიკვლიოთ, საჭიროების შემთხვევაში კი მკურნალობა დავიწყოთ.**

მამაკაცებმა კარდიოლოგს პირველად 35 წლის ასაკში უნდა მიმართონ, ქალბატონებმა ეს ფეხმძიმობის დაგეგმვისას უნდა გაიკეთონ, შემდგომ კი 45-47 წლის ასაკში, კლიმაქსის დადგომამდე.

**საიმისოდ, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი გული სისხლს გამართულად ტუმბავს, საკმარისია ყოველდღიურად აკონტროლოთ არტერიული წნევა (პრობლემების არსებობის შემთხვევაში კი დაიწყოთ მკურნალობა) და წელიწადში ერთხელ გაიაროთ დისპანსერიზაცია, ჩაიტაროთ სისხლის საერთო ანალიზი და „ბიოქიმია“, გადაიღოთ ელექტროკარდიოგრამა და გაიაროთ გულის ულტრაბგერითი გამოკვლევა (ექოსკოპია). ეს უკანასკნელი კი, თუკი ყველაფერი რიგზეა, შეგიძლიათ 3 წელიწადში ერთხელ გაიმეოროთ. მაგრამ, თუკი აღმოჩნდება, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს, საჭირო იქნება უფრო დეტალური გამოკვლევის, კერძოდ, არტერიული წნევის მონიტორინგის ჩატარება.**

თუკი გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტზე ექიმი ეჭვიანობს, რომ მას გულის იშემიური დაავადება აქვს, მას კორონოგრაფიის ჩასატარებლად გაგზავნის. **ეს ინვაზიური გამოკვლევა გულის სისხლძარღვთა დაავადებათა დიაგნოსტიკისთვის ოქროს სტანდარტს წარმოადგენს.** ამჟამად კორონოგრაფიაზე სულ 10-15 წუთი იხარჯება, სამაგიეროდ, სრულ ინფორმაციას იძლევა გულის ყველა სტრუქტურის მუშაობაზე.

**მნიშვნელოვანია ვიცოდეთ გულის მწვავე უკმარისობის შეტევის ნიშნები:**

**— სახის სიფითრე და ჩალურჯებული ცხვირ-ტუჩის სამკუთხედი;**

**— ჰაერის უკმარისობა, მისი გაჭირვებული შესუნთქვა;**

**— სახეზე უხვი ოფლიანობა;**

**— ხველა, ქაფიანი ნახველი.**

უნდა ითქვას, რომ გულის გადანერგვა — ესაა უკიდურესი საშუალება, რომელიც გულის ქრონიკული უკმარისობის მხოლოდ ბოლო სტადიაზე გამოიყენება. მკურნალობის საწყის ეტაპზე კი საგანგებო წამლები — ინგიბიტორები, ბეტა-ბლოკატორები და შარდმდენები ინიშნება. ისინი დაავადებულთა 80-90 პროცენტისთვის ეფექტიანია, ცხადია, მათი რეგულარულად მიღების პირობის დაცვით. მთავარია დაავადების დეკომპენსაციის არდაშვება, როცა ავადმყოფი მას აღარ აკონტროლებს და ყველაფერს თვითდინებაზე უშვებს, რაც გულის კუნთის, ასევე სამიზნე ორგანოთა, მათ შორის ღვიძლისა და თირკმლების უფრო მეტ დაზიანებას იწვევს.

**გახსოვდეთ, რა უნდა გააკეთოთ პირველ რიგში გულის მწვავე უკმარისობის დროს:**

**— გამოიძახოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება;**

**— მოვათავსოთ პაციენტი მოხერხებულ, ნახევრადმჯდომარე პოზაში, უზრუნველყოთ ჰაერის მიწოდება — გამოაღეთ ფანჯარა, შეუხსენით საკინძე;**

**— შემოვუწყოთ პაციენტს სათბურები;**

**— ჩავაყოფინოთ ფეხები ცხელ წყალში, თეძოებზე კი (ანუ მუხლების ზევით) დავადოთ ელასტიური ბანდი ან ჩალიჩი;**

**— გრძნობის დაკარგვის შემთხვევაში კისერსა და სახეზე მიაპკურეთ ცივი წყალი და შეასუნთქეთ ნიშადურის სპირტი;**

**— ენის ქვეშ ამოუდეთ ნიტროგლიცერინი, ან ვალიდოლი, ან დაალევინეთ კორვალოლი (40 წვეთი ჭიქა წყალზე). თუკი ამის შემდეგ პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, 5-10 წუთში მიეცით კიდევ ერთი აბი;**

**— თუკი მაჯისცემა და სუნთქვა არ არის, სასწრაფოდ შეუდექით სარეანიმაციო მოქმედებებს (გულის არაპირდაპირ მასაჟს).**

მეცნიერებმა დაითვალეს გულის ქრონიკული უკმარისობის დროს მკურნალობის სხვადასხვა ზომების ეფექტიანობა და აღმოჩნდა, რომ ინგიბიტორების მიღება წარმატების 20-25 პროცენტს იძლევა, ცხოვრების ჯანსაღი წესი კი, ანუ მავნე ჩვევებზე უარის თქმა და ასაკის შესაბამისი ფიზიკური აქტივობა (კვირაში 150 წუთი ვარჯიში), წამლებზე გაცილებით ეფექტიანად მოქმედებს — მისი კოეფიციენტი 30 პროცენტს შეადგენს!

# ცილა, რომელიც სიბერეს ებრძვის



**საფრანგეთში, პასტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ცილა GDF11-ი სიბერეს ებრძვის და ორგანიზმს სიმსივნის განვითარებისაგან იცავს.**

მკვლევარების ჯგუფმა ჩაატარა ცდა თაგვებზე, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცილას შეუძლია დიეტის იმიტაცია, რომელიც ეფექტურია გულის და ონკოლოგიური დაავადებების დროს. ამის გარდა, ცილის ინიექციამ ხანდაზმულ თაგვებში სისხლძარღვების ფუნქცია აღადგინა, ხოლო ტვინში გააძლიერა ნეიროგენეზი. (ნეიროგენეზი პროცესია, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ტვინს შეუძლია ახალი ნეირონების შექმნის და მათი შეერთების სტიმულირება მოახდინოს).

# სახიფათო „მძინარობა“

**ამერიკელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ხანდაზმულ ადამიანებში დღის განმავლობაში დაძინების მოთხოვნა შესაძლოა ალცჰაიმერის დაავადების განვითარების ნიშანი იყოს.**



გამოკვლევის ჩატარებისას მეცნიერები აკვირდებოდნენ იმას, თუ რამდენად ხშირად და ძლიერად ერევათ ძილი დღისით დაახლოებით 60 წლის ასაკში მყოფ ადამიანებს. მათ აინტერესებდათ, თუ როდის უფრო ეძალებოდათ მათ ძილის სურვილი — ტელევიზორის ყურებისას თუ კითხვისას. ასაკის, სქესის, სიმაღლის, წონის, განათლების დონის და ბეტა-ამილოიდური ცილის კონცენტრაციის შესახებ მონაცემთა გათვალისწინებით, რომელიც ალცჰაიმერის დაავადების დამახასიათებელი მარკერია, მკვლევარები სნეულების წარმოშობის საფრთხეს აფასებდნენ.

**პირველადი ანალიზების ჩატარებიდან 15 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც დღისით ძილი ხშირად ერეოდათ, თავის ტვინში ცილოვანი ნალექები სხვებზე სამჯერ მეტი ჰქონდათ. მკვლევარებმა გამოითვალეს, რომ ასეთ ხალხში დემენციის (ასაკობრივი გონებასისუსტის) განვითარების საფრთხე 2,75-ჯერ უფრო მაღალია.**

ფუტსალი

# მოგებით დაიწყეთ!

**პოლონეთში სტარტი აიღო ფუტსალში 2020 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეინ-რაუნდმა, რომლის პირველი შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთან გამართა.**




ავთანდილ ასათიანის გუნდს საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადახდა და მეტოქე მეორე ტაიმში ერთწუთიან ინტერვალში გატანილი ორი ბურთით გატეხა. ანგარიში მერვე წუთზე საქართველოს ნაკრებმა თალესის ეფექტური გოლით გახსნა, რომელმაც ერთი შეხებით იხეირა, რასაც შესვენებამდე მასპინძლებმა ორით უპასუხეს და ტაიმი პოლონეთმა 2:1 მოიგო.

ქართველებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალეს ვითარება. ჯერ ფუმასამ გაათანაბრა ჩინებული დარტყმით, ხოლო ერთ წუთში თალესმა დუბლი შეასრულა, ოღონდ ამ ჯერზე პენალტით გაიტანა. მატჩის დასრულებამდე 17 წუთი რჩებოდა, მაგრამ დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა და საქართველომ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

აქვე გეტყვით, რომ ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ესპანეთის ნაკრებმა ფინეთი 4:1 დაამარცხა. ცნობისთვის, ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გავა და ასპარეზობას ელიტ-რაუნდში გააგრძელებს.

**ბექან დოლიძე**

ჭადრაკი

# იღბლიანი სტარტი

**ქართველ ქალთა წარმატებით დასრულდა ბათუმში დაწყებული ევროპის გუნდური ჩემპიონატის პირველი ტური.**

ჩვენმა პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 3:1 ჩეხეთი დაამარცხა, საქართველოს მეორე გუნდმა დიდი ანგარიშით — 3,5:0,5 სლოვენიელ მოჭადრაკეებს მოუგო, ხოლო ახალგაზრდული ნაკრები სლოვაკებს დაუზავდა — 2:2.

ქალთაგან განსხვავებით, ვაჟთა ორივე გუნდმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა: ფინეთი 2 : 2 საქართველო (I), თურქეთი 2:2 საქართველო (II).

**მანუჩარ გიორგაძე**



ლეგიონერები

# დვალი დაბრუნდა

**ევროპა ლიგის მესამე ტურში ლაშა დვალის „ფერენცვაროში“ მოსკოვში ცსკა-ს დაუპირისპირდა და ერთობ ფასეული გამარჯვება იზეიმა.**

უნგრეთის ჩემპიონმა როლანდ ვარგას 86-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგო — 1:0. სერგეი რებროვმა ქართველი მცველი უკანა ხაზის გასამაგრებლად სწორედ ამის შემდეგ, 89-ე წუთზე ჩართო თამაშში.

საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ დვალი ბუდაპეშტელთა დაცვის ცენტრის ძირითადი შემადგენლობის წევრია, მაგრამ 29 სექტემბერს ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მოედანს ახლაღა დაუბრუნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკრაინელი სპეციალისტი ჩვენებურს ნელ-ნელა სასტარტოშიც დააბრუნებს, „ფერენცვაროშს“ კი სამი ტურის თავზე 4 ქულა აქვს და ჯერჯერობით მესამე საფეხურზეა, მაგრამ პლეი-ოფში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს.

„გენტმა“ იმავე დღეს „ვოლფსბურგს“ უმასპინძლა და, მართალია, ორბურთიანი სხვაობით მარცხდებოდა, თუმცა, რომან იარემჩუკის დუბლით ქულა მაინც გადაარჩინა. გიორგი ქვილითაია მინდორზე 73-ე წუთზე გამოჩნდა. „გენტს“ „ვოლფსბურგის“ დარად 5 ქულა აქვს და ეს გუნდები ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

**გიორგი შოთაძე**




ჭიდაობა



**საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე 23-წლამდელთა ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე დასაყენებელი შემადგენლობები დაასახელეს. ამ ასაკობრივ ჯგუფში 2019 წლის სეზონის უმთავრეს შეჯიბრებას 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი უმასპინძლებს და ქართული გუნდები ხალიჩაზე 10-10 სპორტსმენით გავლენ.**

# ფავორიტის რანგში

ერთკვირიანი ჩემპიონატის პირველ სამ დღეს ხალიჩები თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ. შესაბამისად, ზურაბ ჭიღლაძის შეგირდები უნგრეთში შედარებით ადრე ჩავლენ, ვიდრე სოსო ჯაბიძის გაწვრთნილი გუნდი.

„თავისუფლებმა“ მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებელი დასკვნითი შეკრება ბორჯომში გუშინ დაასრულეს და პირდაპირ ქუთაისს მიაშურეს, საიდანაც ბუდაპეშტში გაფრინდნენ, „კლასიკოსები“ კი დუშეთში ვარჯიშობენ და სამშაბათს გაემგზავრებიან უნგრეთში. ისინი 1-3 ნოემბერს იჭიდავებენ.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჯაბიძის გუნდის განაცხადია. ქართული ათეულის ხუთი წევრი 23-წლამდელთა შორის ევროპის მოქმედი ჩემპიონია: ნუგზარ წურწუმია (55 კგ), ლევან ქავჟარაძე (63 კგ), რამაზ ზოიძე (72 კგ), გურამ ხეცურიანი (87 კგ) და ზვიად პატარიძე (130 კგ). პატარიძე ამავე ასაკობრივ ჯგუფში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონიცაა, წურწუმია კი 23-წლამდელებშიც პირველი ნომერია მსოფლიოში და უფროსებშიც.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 23-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზეც და წლევანდელ ევროპირველობაზეც საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა.

**კოტა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# ისევ პორნო



**ბულვარული ამბების მოყვარულთ, ალბათ, კარგად ემახსოვრებათ, რომ პორნოვარსკვლავმა თიკუნით „მია ხალიფა“ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა — ამიერიდან ფეხბურთი ჩემი ვნების მთავარი საგანიაო და ტრფიალების უმთავრეს ობიექტად „ვესტ ჰემი“ გამოაცხადა.**

ლონდონელ „ჩაქუჩებთან“ სიყვარულის ახსნა შემდეგ იმით გაგრძელდა, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მია ხალიფას პრემიერლიგის ერთ-ერთი გამპიარებლის რეგალიები შესთავაზა და საამისოდ კონტრაქტიც გაუფორმა. ეს ამბავი მაშინ ბევრ ქომაგს არ მოეწონა და იძახდნენ — ალბიონური სოკერი სიძვის სარქალმა ლაჯებში ამოიდოო.

ახლა კი ცნობილი გახდა, რომ მია ხალიფამ (რომელმაც პორნოინდუსტრია ხუთი წელია დატოვა) ერთ-ერთი პორნოსტუდიიდან ახალი და საინტერესო შეთავაზება მიიღო, რომლის გამოისობითაც მომდევნო სამი წელი ამ სტუდიის ხელმძღვანელი იქნება. აი, ასე მარტივად გაცვალა პორნოვარსკვლავმა ფეხბურთი თავის ძველ საქმეზე და იქ დაბრუნდა, სადაც თავს, ალბათ, ყველაზე უკეთ გრძნობს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ოლიმპიზმი

# პრეზიდენტის განმარტებით...

**ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა დევიდ ჰეგარტიმ განმარტა, რა კრიტერიუმით დაიშვება 38 წლის როჯერ ფედერერი ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადაზე.**



**„ჩვენ ოლიმპიადაზე დაშვების საგანგებო წესები გვაქვს შემუშავებული. ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპად დევისის თასი ითვლება. მაგალითად, თუ კეი ნიშიკორი პირველ წრეში ითამაშებს, ოლიმპიურ საგზურს მიიღებს.**

**ფედერერი დევისის თასზე არ მონაწილეობს, მაგრამ შვეიცარიას ის სხვა კატეგორიით შეუძლია წარადგინოს. როჯერს ხომ ორი ოლიმპიური მედალი აქვს“...** — ციტირებს ჰეგარტის სიტყვებს EFE.

შეგახსენებთ, რომ როჯერ ფედერერი 2008 წლის ოლიმპიადაზე წყვილთა ტურნირის ჩემპიონი გახდა, 2012-ში კი ერთეულთა თანრიგში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

დღესასწაული

# ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი



**26 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ივერიის (ფოთის) ხატის ხსენებას.**

...ცნობილია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნავენ.

იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842 წ.) ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლების საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ.

...ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქალი, ის ქვრივი იყო; იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა ქვრივის სახლში იპოვეს ეს გადამალული ხატი და ერთ-ერთმა მხედართაგანმა „მახვილი დასცა მას პირსა ხატისა“. მოხდა სასწაული: ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ.

საგულისხმოა ისიც, რომ ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, დილით კი მან, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა. წმიდა ხატი ზღვის ტალღებზე აღმართული, დასავლეთისკენ გაემართა.

ერთხელ მიმწუხრისას ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე შენიშნეს ნათლის სვეტი. ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ, როცა ვინმე მიახლოებას გადაწყვეტდა, ხატი ზღვის ნაპირს შორდებოდა.

გაბრიელ იბერიელმა შეძლო ღვთისმშობლის ხატის ზღვიდან ამობრძანება. ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დააბრძანეს... მაგრამ მეორე დღეს დილას გაუჩინარდა. ძებნის შემდეგ მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ის კვლავ ჩამოაბრძანეს... ასე განმეორდა რამდენჯერმე.

ივერიის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

**გიული ლიპარტია**

ხსოვნა

# ვახტანგ ბოჭორიშვილი



**25 ოქტომბერს 80 წელი შეუსრულდებოდა შესანიშნავ მოქალაქესა და ღირსეულ პიროვნებას, საქართველოს კვების მრეწველობის ერთ-ერთ გამორჩეულ სპეციალისტს ვახტანგ ბოჭორიშვილს. იგი წლების განმავლობაში გახლდათ „საქმინხილწყლის“ მთავარი ინჟინერი, „საქთამბაქოს“ მმართველი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის მეორე მაცივრის დირექტორი. მშვიდი, გულისხმიერი, მაღალი რანგის ინჟინერი, თავისი საქმის პროფესიონალი — სწორედ ასეთად დარჩა იგი ყველას გულში, ვისაც კი მასთან ერთად უმოღვაწია. მიუხედავად უდიდესი ტრაგედიისა და ტკივილისა, რომელიც ვაჟიშვილის ტრაგიკულად დაღუპვამ მიაყენა, იგი მაინც რჩებოდა გულისხმიერი, თბილი, სხვათა ტკივილისა და ლხინის გამზიარებელი. იგი ყოველთვის დარჩება თავისი ერთგულებითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნება. სწორედ ამგვარ ხალხზე იდგა საქართველოს ძლიერება. მისი ღვაწლითა და სახელით იამაყებენ არამარტო მისი შთამომავლები, არამედ ყველა, ვისაც კი შეხება ჰქონია მასთან.**

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის წევრთა და მეგობართა სახელით**

**მალხაზ დოლიძე**

# გურჯაანში ხანძარს 60 წლამდე ქალი ემსხვერპლა

**შემთხვევა გვიან ღამით, ალაზნების ქუჩაზე მოხდა. დაიწვა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.**

საოჯახო ტექნიკა და ავეჯი მთლიანად განადგურდა. შემთხვევის ადგილზე ოთხი მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი მუშაობდა. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი, სავარაუდოდ, გაუმართავი ელექტროსადენები გახდა.

სრულიად სერიოზულად!..

# საფლავის ქვებზე წასმული ღორის ქონი

**უპირველესად ქვესათაურმა მიიქცია ყურადღება: „სომხების საფლავები ლავრენტი ბერიამ გაანადგურა“.**

თურმე გასული საუკუნის 30-იან წლებში ლავრენტი ბერიას თბილისში სომხური სასაფლაო გაუნადგურებია, მრავალი სომხის საფლავი მოუსპია. სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის თანამშრომელი გულისტკივილით აცხადებს, რომ სომხური სასაფლაოს ხოჯავანქის განადგურება ლავრენტი ბერიას (მაშინ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს — ა.ა.) 30-იანი წლების დასაწყისში დაუწყია, ხოლო 1936 წელს „ალაი ხანჯიანის მიერ თბილისის და ქართული მიწების მოთხოვნის გამო“ ეს საქმე კიდევ უფრო გაუმძაფრებია“. მერე მოდის ლეგენდა, ოღონდ ხალას საშინელი: ბერიამ სომხეთის კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ხანჯიანი, რომელმაც ქართული მიწების გადაცემა მოითხოვა, თავის კაბინეტში დახვრიტა, ხოლო გვამი ხალიჩაში (სპარსული ხალიჩა, რომელიც ხანჯიანმა ბერიას საჩუქრად მიართვა) გაახვევინა.

ბერიას მზაკვრული გეგმის მიხედვით სომხური სასაფლაოს ადგილზე პარკი უნდა გაეშენებინათ. ამისთვის ხოჯავანქის ეკლესია ააფეთქეს და აკლდამები მიზანმიმართულად გაანადგურეს, საფლავის ქვები კი სამშენებლო მასალად წაიღეს.

ერთი სიტყვით, ლავრენტი ბერია სპეციალურად სომხურ სასაფლაოს შესევია და დაუნგრევია ხანჯიანზე შურისძიების მიზნით, რაც იქ დაკრძალული სომხების დღევანდელი შთამომავლების აღშფოთებას იწვევს.

ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში წაკითხულმა 2007 წლის დასაწყისის ამბავი გამახსენა. მაშინ სომხეთში გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „წინაპართა ქვები“ (თუ რაღაც ამის მსგავსი სათაური), რომელიც საქართველოში სომხების უფლებების დაკნინება-შელახვას, ფაქტობრივად, ამ ეთნოსის დევნა-შევიწროებას ეხებოდა. ერთ-ერთი მთავარი „ჯილა“ ამ დაკნინება-შელახვა-დევნა-შევიწროებისა ის იყო, რომ თბილისში, სანაპიროზე, „დედაენის“ პარკში, კედელი მოპირკეთებულია სომხური სასაფლაოდან წაღებული ქვებით, რომლებზეც დღემდე იკითხება სომხური წარწერები.

ზემოთ ხსენებული საგაზეთო პუბლიკაცია და მანამდე კი დოკუმენტური ფილმი ისეთი არგუმენტებია, ქვას გახეთქავს: ურჯუკ ქართველებს თავიანთი პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელის მეთაურობით სომეხთა ძვალთშესალაგი წაუბილწავთ, საფლავის ქვები აუყრიათ და თბილისი უშენებიათ.

მარტო ეს მაგალით-არგუმენტები კმარა, რომ სომხური საზოგადოებრიობა აალევოს და სიძულვილით განაწყოს „კ ბრატსკომუ გრუზინსკომუ ნაროდუ“.

აქ თითქოს სათქმელი, თავის გასამართლებელი არაფერი უნდა გვქონდეს, მაგრამ... მაინც გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემსას ვიტყვი.

ნებისმიერ ჩვენს სომეხ მოქალაქეს და სომხეთის მოქალაქეს ვთხოვ, ყურადღებით ჩაუაროს სამაგრ კედლებს ცირკიდან „ჩელუსკინელების“ ხიდამდე და დააკვირდეს მოპირკეთების ნაცრისფერ ქვებს — ბევრზე შეამჩნევს აქამდე შემორჩენილ ქართულ ასოებს. **ეს ის საფლავის ქვებია, რომლებიც 1930-იან წლებში, როცა ეს ქუჩა (დღევანდელი თამარ მეფის სახელობისა) გაიჭრა, მისი კეთილმოწყობისთვის მოზიდეს ძველი ვერის სასაფლაოდან, დღეს რომ ვერის პარკი ჰქვია (ყოფილი კიროვის სახელობის პარკი). არაერთი დიდი სასაფლაო გააუქმეს და ბაღად აქციეს და ახლა, როცა სიცხით შეწუხებული თბილისელები აქ ჩრდილს ეფარებიან, ბევრმა არ იცის, რომ წინაპართა ძვლებზე დადის (სხვათა შორის, იქ დღემდე შემორჩა დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის საფლავები).**

უფრო მეტი. ჩემი თაობის თბილისელებს ახსოვთ: როცა 1960-იან წლებში კიროვის პარკში შადრევანს აშენებდნენ, რამდენი თავის ქალა და კუბოს ნარჩენი ამოჰყვა ექსკავატორის ციცხვს, ან როცა დიდუბის ეკლესიასთან გზას აფართოებდნენ, რა მკრეხელურად ხელყვეს განსასვენებლები. არადა, ვერისა და დიდუბის სასაფლაოები ძირითადად ქართული იყო...

30-იან წლებში ქალაქმშენებლობის საჭიროებისთვის ააფეთქეს გერმანელების კირხე დღევანდელ მარჯანიშვილის მოედანზე, შაჰ ისმაილის უნიკალური მეჩეთი სანაპიროზე, მეტეხის ხიდთან, რუსული პანტელეიმონის ტაძარი დღევანდელი მთავრობის სასახლის ადგილას. ცნობილია, დანგრევას რა ბეწვზე გადაურჩა მეტეხის ტაძარი და ამ გადარჩენას ცნობილი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე შეეწირა...

ასე რომ, ხოჯავანქის ყველაფერი სამწუხაროდ იყო, ოღონდ გასული საუკუნის პირველი ნახევრის კომუნისტურ უღმერთობას ქართველებს და საქართველოს ნურავინ დააბრალებს ეზოპეს ენითაც კი (დარწმუნებული ვარ, კომუნისტურ ხანაში ასეთი ანტირელიგიური ქმედებები სომხეთშიც ხდებოდა).

არის იდეა და არის ამ იდეის მიწოდების ფორმა. შეიძლება ითქვას, იდეა იგივე საქონელია, პროდუქციაა, რომელიც საგანგებოდ მომგებიანად უნდა შეფუთო და ისე მიაწოდო მყიდველს. ეს კარგად აქვთ ათვისებული სომეხ „იდეოლოგებს“.

იდეის სათანადოდ „შეფუთვის“ საჭიროება ჯერ კიდევ ყბადაღებულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა აღმოაჩინა, როცა ერთ-ერთ მიტინგზე ასეთი ხატოვანი შედარება დაახეთქა: **„მარქსის იდეა ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თუკი ღორის ქონს წავუსვამთ, კიდევ უფრო უკეთესი იქნება“.**



ხოჯავანქის პანთეონი ძველად



ხოჯავანქის პანთეონი

**კიდევ ერთხელ: გასული საუკუნის 30-იანი წლების უკუღმართობებს, თანაც ვითომ სპეციალურად მხოლოდ და მხოლოდ სომეხთა წინააღმდეგ, სადღეისო აქტუალურ საქმედ ნუ წარმოვაჩენთ და ღორის ქონს ნუ წავუსვამთ სამწუხარო სინამდვილეს — სომხური საზოგადოების ერთ ნაწილში ჩაბუდებულ ქართველთმოძულეობას.**

**ალეკო ასლანიშვილი**

# ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

